კვირეული ბეჭდური „ვერსია“ ერთი

ვერსია

№37 (1579) 13-19 ოქტომბერი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

რეალური მიზეზები, რის გამოც საქართველოში პური და ფქვილი გაძვირდა

ადგილობრივი ბაზრის დაცვის რა მექანიზმებს განიხილავს ეკონომიკური პროფილის სამი უწყება

სამშენებლო მაფიის სასიკვდილო თამაშები

რა კავშირი აქვს ბათუმის ტრაგედიასთან ენმ-ს მმართველობის დროს მიღებულ კანონებს

ირაკლი ქადაგიშვილი: „ოპოზიციის მდგომარეობა მძიმეა!“

„სააკაშვილს შიმშილობას არავინ აიძულებს!“

„ამ მიტინგებით სააკაშვილის გვერდით კი არ ვდგებით, არამედ, საქართველოს გადასარჩენად ვიბრძვით!“

რა მიზნით წავიდა ენმ-ს წევრი ნონა მამულაშვილი ბრიუსელში

ტაქსისტების სერიული მკვლელობები თბილისში

სამი ძმის ბანდა, რომელიც მანქანებს იტაცებდა და უზბეკეთში ყიდდა

რატომ ვერ ამართლებენ საქართველოში კოალიციები

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია ვერაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შესახებ

ვერაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შესახებ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს უფროსმა, თორნიკე მარსაგიშვილმა ბრიფინგი გამართა.

მისი თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2021 წლის 15 სექტემბერს, თბილისში, ვერიკო ანჯაფარიძის ქუჩაზე მომხდარ განზრახ მკვლელობაში ბრალდებული, ძებნილი პირები დააკავეს.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა დაგეგმეს ნ.კ.-ის განზრახ მკვლელობა, რისთვისაც მათ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინეს ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და ერთ-ერთი მოქალაქისგან იქირავეს ავტომობილი. მიმდინარე წლის 15 სექტემბერს, აღნიშნული პირები ნაქირავები ავტომანქანით თბილისში, ვერიკო ანჯაფარიძის ქუჩაზე, საცხოვრებელ კორპუსთან ჩაუსაფრდნენ ნ.კ.-ს. განზრახვის აღსრულების მიზნით, ა.ჭ.-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან ნ.კ.-ის მიმართულებით, ათზე მეტი გასროლა განახორციელა და შემთხვევის ადგილიდან, გ.კ.-სთან ერთად, ნაქირავები ავტომანქანით მიიმალა.

მიყენებული ჭრილობების შედეგად, დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

შეტყობინების მიღებისთანავე, ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფმა, ექსპერტ-კრიმინალისტებთან ერთად, დეტალურად დაათვალიერა შემთხვევის ადგილი, აიღეს სხვადასხვა კვალი, ასევე, სამართალდამცველებმა ნივთმტკიცებად ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღის მასრები და სხვადასხვა ნივთი.

საქმეზე დაიკითხა ათეულობით მოწმე, მათ შორის, დანაშაულის უშუალო თვითმხილველები, გარდაცვლილის მეგობრები, ნაცნობები და საქმესთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირები.

ჩვენებებისა და საქმის დეტალების ანალიზის საფუძველზე, დანაშაულის ჩამდენი პირების ვინაობისა და დანაშაულის მოტივის დასადგენად დაისახა რამდენიმე საგამოძიებო ვერსია, რომელთა გადასამოწმებლად ინტენსიურ რეჟიმში განხორციელდა ყველა საჭირო ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიება.

ოპერატიულმა ჯგუფმა უმოკლეს დროში მიაკვლია იმ ავტომანქანას, რომლითაც ბრალდებულები დანაშაულის ჩადენის დროს გადაადგილდებოდნენ. აღნიშნული ავტომობილი დათვალიერდა ექსპერტ-კრიმინალისტების მიერ და ამოღებულ იქნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე კვლები.

დადგინდა ავტომანქანის მფლობელიც და მისი ჩვენების საფუძველზე, დანაშაულის ერთ-ერთი მონაწილის – გ.კ.-ის ვინაობა.

ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფის მიერ, ინტენსიურ რეჟიმში განხორციელებული თანმიმდევრული და კვალიფიციური მუშაობის შედეგად, დადგენილ იქნა დანაშაულის ჩამდენი, უშუალოდ მსროლელი პირის – ა.ჭ.-ის ვინაობაც.

სამართალდამცველები უწყვეტ რეჟიმში განაგრძობდნენ მუშაობას ყველა იმ მტკიცებულების მოპოვების მიზნით, რომლებიც უტყუარად დაადასტურებდნენ ბრალდებულების მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენას.

გამოძიებამ მოიპოვა ბრალდებულთა გადაადგილების ამსახველი ვიდეოსამეთვალყურეო კამერების რამდენიმე ათეული ჩანაწერი და მოხდა მათი დეტალური დათვალიერება.

გაიჩხრიკა ათამდე საცხოვრებელი ბინა და სხვადასხვა ობიექტი, მათ შორის, გ.კ.-ის მაღაზია, სადაც ბრალდებულებმა დანაშაულის ჩადენის შემდეგ გამოიცვალეს სისხლიანი ტანსაცმელი, რაც ნივთმტკიცების სახით იქნა ამოღებული.

საქმეზე ამოღებულ ნივთმტკიცებებზე ჩატარდა დაქტილოსკოპიური, ოდოროლოგიური, ბალისტიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ტრასოლოგიური და საინფორმაციო-ტექნოლოგიური ექსპერტიზები, რომელთა დასკვნების შედეგად დადგინდა, რომ გ.კ.-ის მაღაზიიდან ამოღებულ ა.ჭ.-ის ტანსაცმელზე აღმოჩნდა დენთის კვალი, ხოლო მასზე არსებული სისხლის ლაქები ეკუთვნის გარდაცვლილ ნ.კ.-ს.

საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე, მიმდინარე წლის 18 სექტემბერს, ორივე პირს საქართველოს პროკურატურამ ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 236-ე მუხლებით, დაუსწრებლად წარუდგინა და მათზე ძებნა გამოცხადდა.

ძებნილ ბრალდებულთა დასაკავებლად ორიენტირებულ იქნა ყველა ოპერატიული დანაყოფი.

სამართალდამცველებმა, ძებნაში მყოფი ბრალდებულების ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების მიზნით, უწყვეტ რეჟიმში გააგრძელეს მუშაობა. ჩატარდა არაერთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, დაიკითხა ათეულობით მოწმე, დადგინდა იმ პირების ვინაობა, რომლებთანაც შესაძლოა, კავშირი ჰქონოდათ ბრალდებულებს, ასევე, დადგინდა ყველა ის ადგილი, სადაც ბრალდებულები დროებით თავს აფარებდნენ, გამოვლენილ იქნა ყველა ავტომობილი და მათი მძღოლების ვინაობა, რომლებითაც ბრალდებულები გადაადგილდებოდნენ.

ბრალდებულები, სამართალდამცველებისთვის კვალის არევის მიზნით, პერიოდულად იცვლიდნენ ტანსაცმელს, ავტომანქანებსა და თავშესაფარ ადგილებს, რაც ართულებდა მათი ადგილმდებარეობის დროულად დადგენასა და დაკავებას.

2021 წლის 7 ოქტომბერს, სამართალდამცველებმა, ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო-ოპერატიული და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ორივე ძებნილი პირი წყნეთში დააკავეს.

პოლიციის მიერ დადგენილ იქნა ის საცხოვრებელი სახლი, სადაც ბრალდებულები ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში თავს აფარებდნენ. დაკავებისას, ორივე ბრალდებულმა მიმალვა სცადა, თუმცა აქტიური დევნის შედეგად, სამართალდამცავებმა ისინი დააკავეს.

ბრალდებულთა პირადი ჩხრეკისას ამოიღეს დანები, ხოლო ხელბარგში, მათივე კუთვნილი საქართველოს მოქალაქის პასპორტები, ტანსაცმელი და სხვა პირადი ნივთები ნახეს.

საქმეზე გრძელდება შესაბამისი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები და შესაძლებელია, გაფართოვდეს ბრალდებულთა წრე.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ გურიაში საფლავების გაქურდვის ფაქტზე ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ლანჩხუთის რაიონული სამმართველოსა და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი ორი პირი: 1980 წელს დაბადებული რ.პ. და 1991 წელს დაბადებული კ.კ., მიცვალებულისადმი უპატივცემულობისა და საფლავზე არსებული ნივთის ჯგუფურად მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ სხვადასხვა დროს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ბრალდებულებმა ხუთი საფლავი გაქურდეს. მეტიც, სოფელ ქვიანში, შინდისის გმირის, რუსლან წულაძის საფლავზე განთავსებულ ალუმინის ნაკეთობას ბრალდებულები მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ. გაირკვა, რომ საფლავებიდან მოპარული ლითონის დეტალები მათ ქალაქ ზესტაფონში მდებარე შავი და ფერადი ლითონების მიმღებ პუნქტში ჩააბარეს. პოლიციამ ნაქურდალი ნაკეთობები ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

მიცვალებულისადმი უპატივცემულობისა და საფლავზე არსებული ნივთის ჯგუფურად მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 258-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრი ყაზახეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, საქართველოში ყაზახეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ბაურჟან მუხამეჯანოვთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა ხაზი გაუსვეს ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობას. განსაკუთრებით აღინიშნა მხარეთა შორის აქტიური სამუშაო ვიზიტების განხორციელების საკითხი, გამოცდილების გაზიარების მიზნით.

შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა და ყაზახეთის ელჩმა, სამართალდაცვით სფეროში არსებული თანამშრომლობის გაღრმავებასა და ურთიერთობის სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს.

რატომ ვერ ამართლებენ საქართველოში კოალიციები

ნინო დოლიძე

კარგა ხანია, დიდსა თუ პატარას, ოპოზიციონერსა თუ ხელისუფლების მომხრეს პირზე კოალიციური მთავრობა აკერია ანუ ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური თუ არა, დიდი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ საქართველო მაშინ გაბრწყინდება, როცა კოალიციური მმართველობა იქნება. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენს ბედკრულ სამშობლოს კოალიციური ხელისუფლება ერთხელ უკვე ედგა სათავეში – 1991-1992 წლების სისხლიანი მოვლენების შემდეგ, ე.წ. იმელის პარლამენტი ყველა ჯურის პოლიტიკოსით იყო დაკომპლექტებული და იმას, რაც მაშინდელ საკანონმდებლო ორგანოში ხდებოდა, შეხსენება, მგონი, არც სჭირდება. თუ მაინც დაგავიწყდათ, გაგახსენებთ, რომ „ბორჯომით“ წუწაობა, დედის გინება თუ სხვა მსგავსი რაღაცები მთავრობაში, პირველად, სწორედ მაშინ ვნახეთ.

ისე, კოალიციური ხელისუფლება, თუ კარგად გავიხსენებთ, ერთხელ არ გვყოლია. კერძოდ, 1990 წლიდან მოყოლებული, თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა, რომელმაც მართვის სადავეები აიღო, კოალიციური იყო, თუმცა საბოლოოდ, ყველა კოალიცია არმცთუ დაიშალა, არამედ, კოალიციაში შემავალი სუბიექტები ერთმანეთის მოსისხლე მტრები გახდნენ.

ცნობისთვის: ბოლო 30 წელიწადში, ერთადერთი ძალა, რომელიც სახელისუფლებო სადავეებს რამდენიმე წელი ინარჩუნებდა, მოქალაქეთა კავშირი იყო, რომელიც პირველადვე ანუ 1995 წელს, ხელისუფლებაში კოალიციის გარეშე მოვიდა და ასე იყო 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე“.

მოდით, ტრადიცია დავარღვიოთ და დაშლილი კოალიციების ანატომიის შედგენა თავიდან კი არა, ბოლოდან დავიწყოთ ანუ იგივე „ოცნებამაც“, 2012 წელს, მართვის სადავეები კოალიციურად გადაიბარა.

კოალიცია ქართული ოცნება ჩამოყალიბდა 2011 წელს. კოალიცია შეიქმნა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკის წინააღმდეგ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლასთან დაკავშირებით.

„კოალიცია „ქართული ოცნება“ ოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ დააფუძნა. ესენი იყვნენ: ბიძინა ივანიშვილის პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ირაკლი ალასანიას ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები, დავით უსუფაშვილის საქართველოს რესპუბლიკური პარტია და კახა შარტავას ეროვნული ფორუმი. მოგვიანებით, კოალიციას შეუერთდნენ კონსერვატორები (ზვიად ძიძიგური) და მრეწველები (ზურაბ ტყემალაძე).

კოალიცია ერთ სუბიექტად მონაწილეობდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, სადაც დაამარცხა მმართველი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. კოალიციამ მიიღო ხმათა 55% – პროპორციული სიით და 41 მანდატი – მაჟორიტარულ ოლქებში. სულ 77 მანდატით, კოალიციამ მოიპოვა უმრავლესობა საქართველოს პარლამენტში და დააკომპლექტა საქართველოს მთავრობა. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, კოალიციამ წარადგინა განათლების მინისტრი, გიორგი მარგველაშვილი. მარგველაშვილმა ხმათა 62%-ით გაიმარჯვა“, – ვკითხულობთ ქართულ „ვიკიპედიაში“.

„ფაჩიკოს გარმონივით“ დაშლილი კოალიციური ერთობების ანატომია

კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლის შესახებ კულუარული ხმა პირველად 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გავრცელდა. მართალია, მმართველი გუნდი ყველაფერ ამას კატეგორიულად უარყოფდა, მაგრამ საბოლოოდ, 2014-ში, კერძოდ, 5 ნოემბერს, კოალიცია ოფიციალურად თავისუფალმა დემოკრატებმა დატოვა. ამის შემდეგ „ოცნებაში“ სიმშვიდემ დაისადგურა, მაგრამ ამ სიმშვიდემ ორ წელზე მეტხანს არ გასტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ 2016 წელს, კოალიციას რესპუბლიკური პარტია, მრეწველები და ეროვნული ფორუმი ტოვებენ.

ოპოზიციას უხარია, რომ პარტნიორების გარეშე დარჩენილი „ოცნება“ წარმატებას ვეღარ მიაღწევს, მაგრამ ხომ იცით, პროგნოზი ერთობ უმადური, ასე ვთქვათ, პროცესია. ჰოდა, ამ შემთხვევაშიც ასე ხდება, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში, „ოცნება“ პარლამენტში ისევ საკონსტიტუციო უმრავლესობას ქმნის და ქვეყნის მმართველი პარტია უკვე მეორედ ხდება.

სხვათა შორის, 2020 წლის არჩევნებზეც „ოცნება“ დამოუკიდებლად გავიდა და მმართველი პარტიის სტატუსიც შეუნარჩუნა.

რაც შეეხება ნაციონალურ მოძარაობას, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დანიშნულ ვადამდელ არჩევნებზე, სააკაშვილის გუნდიც კოალიციით გავიდა, თუმცა მაშინ „ნაციონალების“, კონსერატორებისა და რესპუბლიკელების ერთობას კოალიცია კი არა, ბლოკი ერქვა.

სხვათა შორის, ენმ, იგივე 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებშიც ბლოკის სახით იყო წარმოდგენილი და ამ ბლოკის წევრებიც კონსერვატორები და რესპუბლიკელები იყვნენ.

2004 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მართალია, უმრავლესობა მოიპოვა, მაგრამ ენმ-მ ბლოკის შენარჩუნება ვერ შეძლო და ერთ-ერთი პირველი, ვინც ეს ბლოკი დატოვა, რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი იყო. მას მხარი მალე სხვა კოლეგებმაც აუბეს. იგივე გზას დაადგნენ კონსერვატორი ზვიად ძიძიგური და იმხანად მისი პოლიტიკური ძმადნაფიცი, კახა კუჭავაც.

კოალიციების ისტორია კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში სათავეს 1990-იანი წლებიდან იღებს. კერძოდ, 1990 წლის 28 ნოემბრის არჩევნებში, „მრგვალი მაგიდა“ იმარჯვებს, რომელიც კოალიციური გაერთიანება იყო, თუმცა მაშინ პოლიტიკურ ლექსიკონში, სიტყვა „კოალიცია“ კი არა, „ბლოკი“ იყო დამკვიდრებული.

„1990 წლის 11-13 მარტს, თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა კონფერენცია, რომელზეც მიწვეული იყო იმ დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩართული ყველა არაფორმალური გაერთიანება. კონფერენციის მიზანი იყო საკოორდინაციო საბჭოს შექმნა. მასში უნდა ყოფილიყო ორ-ორი წარმომადგენელი ყოველი პარტიიდან და მას კოორდინაცია უნდა გაეწია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა აქციისათვის.

კონფერენციაზე გამოიკვეთა ორი მკვეთრად განსხვავებული პოლიტიკური პოზიცია:

პარტიათა ერთ ნაწილს აუცილებლად მიაჩნდა საბჭოთა კავშირის კანონებით არჩევნების ჩატარება, არჩევნების მოგება და ამ გზით მოპოვებული ხელისუფლების გამოყენება საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან კანონიერი, ლეგიტიმური გასვლისათვის. ამ გზას მაშინ „ლიტვის გზას“ უწოდებდნენ, რამდენადაც ლიტვამ, 1990 წლის 11 მარტს, სწორედ ასე დაიწყო სსრკ-დან გასვლა.

სხვა ძალები არჩევნების გზით პოლიტიკურ განვითარებას შეუძლებლად თვლიდნენ და მოითხოვდნენ საბჭოთა არმიის გაყვანას საქართველოდან. მათი ლოზუნგი იყო: „ჯერ – თავისუფლება, შემდეგ – დამოუკიდებლობა“.

პოზიციებზე შეუთანხმებლობის გამო, ზვიად გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა დატოვეს კონფერენცია. კონფერენციაზე დარჩნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (გიორგი ჭანტურია), ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (ირაკლი წერეთელი), კონსერვატორული პარტია (თემურ ჟორჟოლიანი), მხედრიონი (ჯაბა იოსელიანი), რომელთაც ჩამოაყალიბეს „ეროვნული კონგრესი“.

ზვიად გამსახურდიამ კონფერენციაზე დარჩენილ ძალებს უწოდა „ანტიეროვნული მოძრაობა“ და დატოვა კონფერენცია.

პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც დატოვეს კონფერენცია, შემდგომ შექმნეს პოლიტიკური ალიანსი „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“. მისი მთავარი პოლიტიკური მიზანი იყო ჯერ დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება, შემდეგ კი – ამ რეფერენდუმზე დაყრდნობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის მიღება“, – წერია ქართულ „ვიკიპედიაში“.

ყველამ ვიცით, რომ ძალა ერთობაშია, მაგრამ ყოველივე ზემოთქმული ნათელჰყოფს, რომ ქართველ პოლიტიკოსებს ერთად თამაში მაინცდამაინც არ ეხერხებათ ანუ მართალია, თავიდან კოალიციები ზარ-ზეიმითა და რიხით იქმნება, მაგრამ საბოლოოდ, ყველა კოალიცია „ფაჩიკოს გარმონივით“ იშლება და საქმე, წეღანდელი თქმისა არ იყოს, იქამდეც მიდის, რომ კოალიციის ყოფილი წევრები, ესე იგი, გუშინდელი თანამებრძოლები, დღეს მოსისხლე მტრები ხდებიან ხოლმე. ამის გათვალისწინებით, ხელაღებით ვერ ვიტყვით, რომ ქვეყნის ხსნა კოალიციურ მთავრობაშია, თუმცა ხომ გაგიგიათ, ცდა ბედის მონახევრეაო. ჰოდა, ჩვენც ვცადოთ, ეგებ, რამე ვიხეიროთ?! თუ არ ვიხეირებთ, კოალიცია იმაზე მეტს რაღას დაგვმართებს, რაც უკვე გვჭირს და ის მაინც გვეცოდინება, ეს ყბადაღებული კოალიციური მმართველობა კარგია თუ არა...

ირაკლი ქადაგიშვილი: „ოპოზიციის მდგომარეობა მძიმეა!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

30 ოქტომბერს, საქართველოს დიდ ქალაქებში არჩევნების მეორე ტური გაიმართება. მანამდე კი ოპოზიცია ქუჩაში გადის ანუ 14 ოქტომბერს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა რუსთაველზე მასშტაბურ აქციას გამართავს. პარალელურად, მიხეილ სააკაშვილი ციხეში შიმშილობას აგრძელებს და აცხადებს, რომ პროტესტის ამ ფორმის შეწყვეტას არ აპირებს... როგორ აფასებს ყველაფერ ამას ხელისუფლება? – „ვერსია“ უმრავლესობის წევრს, დეპუტატ ირაკლი ქადაგიშვილს ესაუბრა.

„სააკაშვილს შიმშილობას არავინ აიძულებს!“

– ბატონო ირაკლი, მეორე ტურისთვის რა მოლოდინი გაქვთ?

– მეორე ტური 30 ოქტომბერს ჩატარდება და, რა თქმა უნდა, ვიბრძვით ყველა მუნიციპალიტეტში დამაჯერებელი გამარჯვებისთვის. ვფიქრობ, „ქართულ ოცნებას“ იმის რესურსი აქვს, რომ თავისი ხმების რაოდენობა გაზარდოს.

– ოპოზიციაში კი აცხადებენ, რომ დიდ ქალაქებში გამარჯვების მეტი შანსი აქვთ...

– ვფიქრობ, ის მაჩვენებელი, რაც ოპოზიციამ დადო, მაქსიმუმია. „ქართულ ოცნებას“ ხმების მობილიზაციის დამატებითი რესურსი აქვს და რეალურ სურათს 30 ოქტომბრის ღამე გვიჩვენებს. იქიდან გამომდინარე, რომ თვითმმართველობის შეთავაზება ოპოზიციას, ფაქტობრივად, არ ჰქონდა და აქცენტს ე.წ. რეფერენდუმსა და ხელისუფლების შეცვლაზე აკეთებდა, ეს განაპირობებდა არჩევნების პირველი ტურის შინაარსს ოპოზიციური ამომრჩევლისთვის, მაგრამ დღეს, როცა ეს მოლოდინები გაქრა, მეორე ტურში, რეალურად გვექნება თვითმმართველი მუნიციპალიტეტებისა და ქალაქების მერების არჩევნები. აქედან გამომდინარე, ამომრჩეველიც იქნება ორიენტირებული არა ხელისუფლების შეცვლის საკითხზე, არამედ, იმ ადამიანების არჩევაზე, რომლებიც ყველაზე მეტად ეფექტური მენეჯერები იქნებიან და ეს იქნება ამოსავალი წერტილი.

თბილისშიც აბსოლუტურად სხვა შედეგი გვექნება, ისევე, როგორც სხვა ქალაქებში და მუნიციპალიტეტებში.

– გიორგი გახარიამ არჩევნებში მესამე ადგილი მოიპოვა. შესაბამისად, გაჩნდა მოსაზრება, დიდ ქალაქებში მეორე ტური იმან განაპირობა, რომ გახარიამ „ოცნებას“ ხმები წაართვაო. როგორ ფიქრობთ, მეორე ტურში რამდენად მნიშვნელოვანია, გახარიამ კონკრეტული პოზიცია დააფიქსიროს, თუ რომელ მხარეს დაუჭერს მხარს?

– გახარიას შედეგი გასაგებია. ჩვენ ვამბობდით, რომ ის ორნიშნა ციფრს ვერ მიაღწევდა და მართლაც, ასე აღმოჩნდა. 8% მისი შედეგია, საიდანაც ხმების რაღაც ნაწილი მისი იყო, ვინც „ქართული ოცნების“ პოტენციური ამომრჩეველია, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის, იგივე დაბნეულობის გამო, ხმა გახარიას მისცა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ამომრჩევლის აბსოლუტური უმრავლესობა მეორე ტურში, სწორედ კალაძესა და ჩვენს კანდიდატებს დაუჭერს მხარს. ის აჟიოტაჟი, რომელიც დაკავშირებული იყო ე.წ. ხელისუფლების შეცვლის რეფერენდუმთან, დღის წესრიგში აბსოლუტურად აღარ დგას და აქედან გამომდინარე, არჩევნები უფრო შინაარსობრივ ხასიათს მიიღებს.

ამასთან, ვიტყვი, ჯერ მესამე ძალაზე საუბარი ზედმეტია და გახარიამაც დაინახა, რომ მისი მდგომარეობა ძალიან მყიფეა ამ არჩევნების შემდეგ, რადგან ხმების დიდი რაოდენობა ვერ მიიღო. ერთადერთი, რაც მოახერხა – ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მეორე ტურები გაუნაღდა ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ ეს რომ ხმამაღლა აღიაროს, იმ ამომრჩეველსაც დაკარგავს, ვინც ხმა მისცა.

რაც შეეხება სხვა ოპოზიციურ პარტიებს, მათი მდგომარეობა რომ მძიმეა, ამას შედეგებიც გვიჩვენებს. შარშანდელი არჩევნების შემდეგ, ყველას მნიშვნელოვნად დააკლდა ხმები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს პარტიები და მათ შორის გახარიაც, გარკვეულწილად, ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური ტყვეობის ქვეშ არიან. სანამ ეს პარტიები არ გაემიჯნებიან ამ დესტრუქციულ პოლიტიკას, ამომრჩეველი, რომელიც განსხვავებულს ეძებს, მათ მხარეს არასოდეს დადგება.

– ბატონო ირაკლი, ასევე, მნიშვნელოვანია პოლიტიკური პროცესები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლას უკავშირდება. რამდენიმე დღეა, სააკაშვილი ციხეში შიმშილობს, მისი პარტია კი მასშტაბური აქციისთვის ემზადება. როგორ ფიქრობთ, რას შეცვლის ყველაფერი ეს, ქართულ პოლიტიკაში?

– ეს აქცია ვერაფერს შეცვლის. ეს ვალდებულებაა, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ უნდა გადაიხადოს, აბა, მათი ლიდერი დაკავებულია და გაჩუმებულები ხომ არ იქნებიან? თან უნდათ, რომ ყველაფერი ეს მეორე ტურთან ირიბად მიაბან, რომ მუხტი ასწიონ. ალბათ, ხალხის რაღაც რაოდენობას შეაგროვებენ და იქნება აქცია, როგორიც ბევრჯერ ყოფილა, განსაკუთრებულ გრანდიოზულობასა და რამე ცვლილებების მომტანს, ამ აქციაში ვერაფერს ვხედავ. ის დღის წესრიგი, რაც სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას შეექმნათ, მათი დამსახურებაა და მხოლოდ საკუთარ თავს უნდა მოსთხოვონ პასუხი. ჩანს კიდეც, რომ სააკაშვილის „ორბიტის“ გარშემო, აზრთა სხვადასხვაობაა, ღიად უპირისპირდებიან მისი მომხრე ექსპერტები, პოლიტიკოსები, პარტიაშიც სხვადასხვაგვარი შეფასება ეძლევა მისი ჩამოსვლის აუცილებლობას, ფორმას და ა.შ.

ასე რომ, ეს ვითარება უფრო ნაციონალური მოძრაობისა და ოპოზიციის თავსატეხად იქცა.

– ენმ-ში აცხადებენ, რომ სააკაშვილი შიმშილობის ბოლომდე მიყვანას აპირებს და ასეთ შემთხვევაში, მთელი პასუხისმგებლობა მმართველ ძალას ეკისრება...

– ეს არის ტრაფარეტული განცხადებები. ვინ აიძულებს შიმშილობას? საერთოდ, სააკაშვილთან დაკავშირებით, სასამართლომ მსჯავრი გამოიტანა და სანამ პროკურატურა სასამართლოს მიმართავდა, მსოფლიოს წამყვანი იურისტები მოიწვია, გამოძიების მასალები გააცნო და მათგან საექსპერტო დასკვნა მოითხოვა, რამდენად შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტს პროკურატურის მიერ მოპოვებული მასალები და მტკიცებულებები. მათი მხრიდან ჩაითვალა, რომ ეს იყო მაღალი საგამოძიებო სტანდარტი და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართეს სასამართლოს და მიიღო ის გადაწყვეტილებები სასამართლომ, რითაც სააკაშვილი მსჯავრდებულია. ასე რომ, აქ კითხვის ნიშნების ძებნა, ჩვეულებრივი, პოლიტიკური სპეკულაციაა ოპოზიციის მხრიდან.

საერთოდ, პატიმრის შიმშილობას მაშინ აქვს რეზონანსი, როცა უსამართლო სასამართლოს მიერაა მსჯავრდებული და ამ შემთხვევაში, ასე არაა, რაც უკვე მოგახსენეთ და მეორე, როდესაც პატიმარი ადამიანის ღირსების შემლახველ პირობებშია, რაც გამორიცხულია იმიტომ, რომ ჩვენი პენიტენციური სისტემა დემოკრატიული ქვეყნების მაღალი სტანდარტის შესაბამისია. მას ყველა პირობა აქვს ციხეში და მისი, როგორც პატიმრის უფლებები, დაცულია, როგორც ჯანმრთელობის, ასევე, სხვა საჭიროებების კუთხით.

ვერ გამოიყენეს სააკაშვილის ფაქტორი გარეთ, ახლა უნდათ, გამოიყენონ შიგნით და ამბობენ, მოკვდება, თუ არ გამოუშვებთო. შიმშილობის გამო, არავინ არავის უშვებს ციხიდან და აქედან გამომდინარე, მთელი მსოფლიო აკვირდება, როგორი პირობები აქვს სააკაშვილს ციხეში და ხედავენ, რომ დაცულია ადამიანის უფლებები პენიტენციურ სისტემაში.

– ბატონო ირაკლი, მიუხედავად იმისა, რომ ამ არჩევნების შედეგების მიხედვით, 43%-იანი ბარიერის საკითხი უნდა მოხსნილიყო, ოპოზიცია ვადამდელ არჩევნებს დღის წესრიგიდან არ ხსნის. მმართველ ძალაში ამ თემას დახურულად მიიჩნევთ?

– როდესაც ვეღარ ხედავს ოპოზიცია, რა უნდა მოიმოქმედოს, იმპულსურად აქვს გამოყოლილი ეს მესიჯი შარშანდელი არჩევნების შემდეგ და სანამ რაიმე გონივრულამდე არ მივლენ, ამას გაიმეორებენ კიდევ დიდ ხანს. სანამ არ მიხვდებიან, რომ სულ სხვა დღის წესრიგი აქვთ შესამუშავებელი 2024 წლის არჩევნებამდე, მანამდე ასეთ გაურკვევლობაში იქნებიან. ეს მესიჯები დღეს რეალურ შინაარსს აღარ ატარებენ, უბრალოდ, ავტომატურად ამბობენ, რადგან სხვა უფრო გონივრული სათქმელი არ აქვთ.

საკუთარი შეცდომის გაანალიზების სურვილიც არ გააჩნიათ და ამიტომ არიან გამოკიდებულნი ამ ქარის წისქვილზე – რადგან მეორე ტურია, ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, რაც აბსოლუტურად ალოგიკურია.

„ამ მიტინგებით სააკაშვილის გვერდით კი არ ვდგებით, არამედ, საქართველოს გადასარჩენად ვიბრძვით!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რა მიზნით წავიდა ენმ-ს წევრი ნონა მამულაშვილი ბრიუსელში

14 ოქტომბერს, რუსთაველის გამზირზე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა პატიმრობაში მყოფ მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად მასშტაბურ აქციას გამართავს. კვირაზე მეტია, საქართველოს მესამე პრეზიდენტი ციხეში შიმშილობს, როგორც მისი ადვოკატები და თანაპარტიელები აცხადებენ, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმებულია. „ვერსია“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ წევრს, ნონა მამულაშვილს ესაუბრა.

– ქალბატონო ნონა, რა სამოქმედო გეგმა აქვს ნაციონალურ მოძრაობას, მიხეილ სააკაშვილის შიმშილობის პარალელურად?

– ახლა ბრიუსელში ვარ და საქართველოს მეგობრებს ველაპარაკები იმიტომ, რომ მდგომარეობა საკმაოდ კრიტიკულია და ყოველი საათი მნიშვნელოვანია. თუ მიხეილ სააკაშვილს რაღაც მოუვიდა, სრული პასუხისმგებლობა საქართველოს მთავრობას დაეკისრება და ამას აქაც იზიარებენ. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ მიხეილ სააკაშვილს ასე მოექცნენ და ძალიან მალე ველოდებით ჩვენი დასავლელი პარტნიორების ქმედებებს, რომ შეშფოთებებისა და აღშფოთებების მიღმა, საკმაოდ სერიოზული ქმედებებიც იქნება.

როგორც იცით, 14-ში დაანონსებულია მასშტაბური მიტინგი და პარალელურად, რა თქმა უნდა, მეორე ტურისთვის მზადება მიმდინარეობს, რამაც ამ ხელისუფლების დამარცხება უნდა განაპირობოს. ვხედავთ, რას აკეთებენ რეგიონებში – გადაწერა მიმდინარეობს ოქმების, მაგრამ ბრძოლის გარდა, სხვა გზა არ გვაქვს.

– ამ აქციაში მონაწილეობას სხვა ოპოზიციური პარტიებიც მიიღებენ? ისე, ოპოზიცია და მათ შორის, ენმ, თაკო ჩარკვიანის აქციას არ შეუერთდა და რა ხდება, მიხეილ სააკაშვილს მხარს ყველა არ უჭერს?

– ყველა, ვისაც ქვეყნისთვის გული შესტკივა, გამოვა! ახლა იმის დრო არაა, რომ ოპოზიციამ ერთმანეთი დაჭამოს და ყურადღება ერთმანეთთან კინკლაობაზე გადაიტანოს. როცა ასეთი ისტორიული მომენტი დგას და ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხია, ძალიან დიდი სირცხვილია, იმაზე ვსაუბროთ, აქციაზე უნდა ვიდგეთ თუ არა.

ამ მიტინგებით მიხეილ სააკაშვილის გვერდით კი არ ვდგებით, არამედ, საქართველოს გადასარჩენად ვიბრძვით. სააკაშვილმა თავი გადადო და გადაწყვეტილი აქვს, რომ ბოლომდე მიიყვანოს ეს შიმშილობა, რაც ძალიან ტრაგიკული და წარმოუდგენელი ლაქა იქნება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რადგან ერთხელ უკვე დავუშვით ეს საბედისწერო შეცდომა და აღარ უნდა დავუშვათ, რამეთუ შეიძლება, ჩვენი დამოუკიდებლობის ბრძოლისთვის ისტორია დასრულდეს.

ვხედავთ, „ქართული ოცნება“ ღიად იწყებს იმაზე ლაპარაკს, რომ რუსეთთან სხვადასხვა ფორმატში გაერთიანებას არ გამორიცხავს.

ამ გზავნილებით ჩამოვედი ბრიუსელში და ვეუბნები ჩვენს პარტნიორებს, რომ დღეს, მიხეილ სააკაშვილის მოწონება-არმოწონებაზე კი არა, ქვეყნის ყოფნა-არყოფნაზე გადის ხაზი. ვფიქრობ, ყველაფერი ეს, ოპოზიციასაც კარგად ესმის, პიროვნულ მომენტებს უნდა გადააბიჯოს და გამოვიდეს აქციაზე იმიტომ, რომ წეღანდელი თქმისა არ იყოს, ეს სააკაშვილის კი არა, ქვეყნის დაცვაა და თუ ქვეყნის გადასარჩენად არ გამოდიხარ, რა მნიშვნელობა აქვს, ოპოზიცია ხარ თუ სხვა ვინმე. ვფიქრობ, ისტორია ყველას მოჰკითხავს, თუ ამ საბედისწერო შეცდომას კიდევ ერთხელ დავუშვებთ.

– რამდენად მნიშვნელოვანია, საერთაშორისო საზოგადოება ხედავდეს, რომ სააკაშვილის მხარდასაჭერად საქართველოში ოპოზიცია ერთიანია?

– რა თქმა უნდა, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ახლა არ არის პიროვნული დაპირისპირებისა და შუღლის დრო. ახლა მიხეილ სააკაშვილს არ განვიხილავთ, როგორც პიროვნებას, არამედ, როგორც ფაქტორს, რომელიც გზაგასაყარზეა – ან გადარჩება მიხეილ სააკაშვილი და შევძლებთ, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორების დახმარებით გადავტეხოთ ეს სიბოროტე, ან ძალიან მალე, გავხდებით ისეთი სახელმწიფო, როგორიც კადიროვის ჩეჩნეთია.

– ქალბატონო ნონა, როცა საერთაშორისო საზოგადოებას ესაუბრებით, მიზანი რა არის – ის, რომ სანქციები დაუწესონ ხელისუფლებას თუ სააკაშვილის პოლიტპატიმრად ცნობას, ან არჩევნების შედეგების არაღიარებას ითხოვთ?

– ეს ცალკ-ცალკე ფაქტორია, რომელიც ერთ მიზანს ემსახურება. ამ ფაქტორებზე აქ კონკრეტულად იმიტომ ვსაუბრობთ, რომ რეალურად, ვნახეთ, არჩევნების გზით, სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ არ აპირებს ხელისუფლებიდან წასვლას. ვხედავთ, რომ სრული იგნორირება ხდება დასავლელი პარტნიორების და ღიად გვიმეორებენ რუსულ ნარატივს.

მიხეილ სააკაშვილი, რომელიც თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ავტორია, დღეს ოლიგარქის პირადი პატიმარია და ყველაფერი ეს, ჩვენს მეგობრებს ძალიან კარგად ესმით. ამიტომ მოვითხოვ, რომ ყველა ის ინსტრუმენტი, რაც დასავლეთს აქვს – სანქციები თუ ნებისმიერი სხვა რამ – ამ ეტაპისთვის დაჩქარდეს, რადგან საქართველოს კარგავს დასავლეთი და დასავლეთს კარგავს საქართველო.

– ისე, ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ მიხეილ სააკაშვილს სასამართლოს მიერ აქვს განაჩენი გამოტანილი და დასავლეთი ვერ მოითხოვს სასამართლოს გადაწყვეტილების არაღსრულებას.

– რომელ სასამართლოს, რომელიც არ არსებობს და რომელიც მურუსიძის კლანია?! ჩვენ ხომ არ გვჭირდება იმ ილუზიებით ცხოვრება, რომ სასამართლო სამართლიანია საქართველოში?! საქართველოში სასამართლო არ არის და ვინ უნდა გაასამართლოს სააკაშვილი?

– როგორც ვიცით, მიხეილ სააკაშვილის საქმეები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოშია გასაჩივრებული და რაიმე სიახლე ხომ არ ისმის სტრასბურგიდან?

– ვცდილობთ, რომ დაჩქარებული წესით მოხდეს ამ საქმეების განხილვა, რადგან ბიუროკრატიას საკმაოდ დიდი დრო მიაქვს ხოლმე და სამწუხაროდ, ეს დრო აღარ გვაქვს.

ამიტომ, ბრიუსელის შემდეგ ვაპირებ, სტრასბურგშიც ჩავიდე და შევხვდე ჩვენს მეგობრებს, რადგან აუცილებელია, მოისმინონ ის, რაც საქართველოში ხდება და ჩვენ არ გვაქვს ბიუროკრატიული პროცესების გაწელვის დრო, რადგან ადამიანის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას.

– ქალბატონო ნონა, საზოგადოებას, ასევე, აინტერესებს, რა ხდება პარტია ენმ-ში. ვრცელდება ვერსიები, რომ სააკაშვილი ნიკა მელიაზე ეჭვიანობის გამო ჩამოვიდა და პარტიაში სააკაშვილის მიმართ ერთსულოვნება არაა...

– ეს კლასიკური რუსული პროპაგანდის ხაზია და ამის გამეორება არ არის სამართლიანი იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილი არავისზე ეჭვიანობს. მას არ სჭირდება, ვინმეზე იეჭვიანოს იმისთვის, რომ ისტორიულ ფიგურად დარჩეს ქართულ პოლიტიკაში, ის ენმ-ის დამფუძნებელია და არ სჭირდება ვინმეზე ეჭვიანობა. ამიტომ, ეს ის ნარატივია, რომელიც ახლა სჭირდება რუსულ პროპაგანდას, რათა დააჯეროს ხალხი, რომ პარტიაში პრობლემებია.

მიხეილ სააკაშვილი ეჭვიანობის საფუძველზე კი არ ჩამოვიდა, არამედ, იმის გამო, რომ დაინახა, სხვანაირად არ შეეძლო ქვეყნის გადარჩენა და ეს იყო ერთადერთი გზა. ვნახეთ წუხილი, ჩამოვა და ძალადობა, გადატრიალება ან რევოლუცია მოხდებოდაო, მაგრამ სრულიად მშვიდად ჩამოვიდა ისე, რომ ერთი ადამიანისთვისაც არ უთხოვია დახვედრა. წყნარად, მშვიდად წავიდა ციხეში და რაც შეუძლია, იქიდან იმას აკეთებს. ამიტომ, რომელ ეჭვიანობაზეა ლაპარაკი, როცა ქვეყნის გადარჩენაზე ვსაუბრობთ და ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია, გადატეხოს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, მიხეილ სააკაშვილია!

ჩამოვიდა მხოლოდ იმისთვის, რომ საქართველო გადაარჩინოს!

– მოკლედ, პარტიაში განხეთქილება არაა და სააკაშვილთან დაკავშირებით, ყველა ერთ აზრზეა?

– არანაირი განხეთქილება პარტიაში არაა და აბსოლუტურად ყველა იმ აზრზეა, რომ ახლა არის ბრძოლა მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლისა და ქვეყნის მომავლის გადასარჩენად.

– 14 სექტემბრის აქცია ხალხმრავალი იქნება?

– რა თქმა უნდა, ეს აქცია მასშტაბური იქნება და მობილიზება მიმდინარეობს ყველა მხარდამჭერისა და მსურველისა, ვისაც სურს, რომ ჩამოვიდეს და მონაწილეობა მიიღოს.

სამშენებლო მაფიის სასიკვდილო თამაშები

მაკა რუხაძე

8 ოქტომბერს, ბათუმში, შვიდსართულიანი კორპუსის ერთ-ერთი სადარბაზოს ნგრევას მსხვერპლი მოჰყვა. ამის გამო, 11 ოქტომბერი ეროვნული გლოვის დღედ გამოცხადდა. უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ბათუმში, მაყურებლების გარეშე ჩატარდა ფეხბურთის მატჩი საქართველო-საბერძნეთს შორის. რაც მთავარია, თბილისობასთან დაკავშირებული ღონისძიება გაუქმდა, თანხა კი, რომელიც ამისთვის იყო გამოყოფილი, ბათუმის ტრაგედიის შედეგად გარდაცვლილთა და დაზარალებულთა ოჯახების ფონდში გადაირიცხება.

რა კავშირი აქვს ბათუმის ტრაგედიასთან ენმ-ს მმართველობის დროს მიღებულ კანონებს

მდუმარე ბათუმი

სოციალურ ქსელში ელვის სისწრაფით გავრცელდა ფოტო, რომელიც ბათუმში, 8 ოქტომბრის ტრაგედიას ასახავს – ჩამოშლილი სადარბაზოს ადგილი ანუ ნანგრევები შავი არშიითაა დაფარული და იქვეა თარიღიც: 08.10.21. ორი დღეა, ტრაგედიის ადგილი ყვავილების თაიგულებითა და სათამაშოებითაა შემკული, რაც ამ დღის ტრაგიკულობას კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს – სადარბაზოს ნგრევის შედეგად, ცხრა ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის სამი ბავშვი...

ნანგრევებში ათზე მეტი ადამიანი მოჰყვა. მომხდარიდან მალევე, მაშველებმა ნანგრევებიდან მცირეწლოვანი ბავშვი გამოიყვანეს, რომელიც კორპუსთან მდგომ ავტომობილში იმყოფებოდა. ორი დაშავებული კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა ერთი მათგანი – 35 წლის ქალბატონი, 9 ოქტომბერს, დილით გარდაიცვალა. სამედიცინო დაწესებულებაში, ქალბატონი უმძიმეს მდგომარეობაში შეიყვანეს, ღამის განმავლობაში, მას გული რამდენჯერმე გაუჩერდა... მოგვიანებით გაირკვა, რომ ნანგრევებში ნაპოვნი ორი გარდაცვლილი ბავშვი სწორედ მისი შვილები იყვნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, კიდევ ერთი ადამიანი – 36 წლის მამაკაცი, რომელიც ნანგრევებიდან 11 საათის შემდეგ ამოიყვანეს, მძიმე მდგომარეობაშია და საავადმყოფოში იმყოფება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სავარაუდოდ, სადარბაზოს ნგრევის მიზეზი პირველ სართულზე, უნებართვოდ დაწყებული სარემონტო სამუშაოები გახდა. ამის გამო, უწყებამ ბინის მფლობელი და ორი მუშა დააკავა. შსს-ს ცნობით, ბინის მესაკუთრის მითითებით და უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევით, საცხოვრებელ ბინაში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები განხორციელდა, რასაც კორპუსის ერთი სადარბაზოს ნგრევა მოჰყვა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მეორე ნაწილით და 187-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს, რაც სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას, უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს და 2-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უნებართვოდ შეცვლილი K2 კოეფიციენტები

უნებართვოდ დაწყებულ სარემონტო, გნებავთ, სამშენებლო სამუშაოებს არაერთი ტრაგედია უკავშირდება. სამი წლის წინ, 2019 წლის 16 იანვრის საღამოს, დიდ დილომში, ავთანდილის ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის მეოთხე სართულზე, გაზის აფეთქებას ნგრევა მოჰყვა. აფეთქების შედეგად, ოთხი ადამიანი გარდაიცვალა, რვა – დაშავდა, გარდაცვლილებსა და დაშავებულებს შორის ბავშვებიც იყვნენ.

2019 წლის 17 იანვარი, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ გლოვის დღედ გამოაცხადა...

დასასრული მე-7 გვერდზე

სამშენებლო მაფიის სასიკვდილო თამაშები

მე-6 გვერდიდან

მართალია, ავთანდილის ქუჩაზე ნგრევა გაზის აფეთქებას მოჰყვა, მაგრამ ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ ახლადაშენებული ის საცხოვრებელი კორპუსი თბილისის მერიის შესაბამის სამსახურს ექსპლუატაციაში არ მიუღია. სამშენებლო კომპანიამ მშენებლობა დაასრულა, მაგრამ ვიდრე შესაბამისი სამსახური კორპუსს ექსპლუატაციაში მიიღებდა, იჩქარა და ხალხი შეასახლა. ხალხმაც გაზი ისე შეიყვანა კორპუსში, როგორც მოუხერხდა ანუ იმის მიხედვით, რა ფინანსური შესაძლებლობა ჰქონდა...

თბილისი რომ ბეტონის უსახური შენობების ქალაქად იქცა, ფაქტია. ესაა მიზეზი, რის გამოც, დედაქალაქის მერი, კახა კალაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალაქის გამწვანებას, მაგრამ ყველა ვხვდებით, რომ ეს საკმარისი არაა.

მეტიც, მას შემდეგ, რაც 2017 წელს, მერად პირველად აირჩიეს, კალაძის ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება ინტენსიური განაშენიანების K2 კოეფიციენტით მანიპულირების აკრძალვა იყო.

რას ნიშნავს ეს? – ინტენსიურ განაშენიანებას რამდენიმე კოეფიციენტი აქვს: K1, K2 და K3. თითოეულის ახსნა შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ K2 კოეფიციენტის განმარტებით შემოვიფარგლოთ, რადგან არაკეთილსინდისიერი მშენებლები, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამ კოეფიციენტს არღვევენ:

„ინტენსიური განაშენიანების K2 კოეფიციენტი არის მიწის ნაკვეთზე განთავსებული კაპიტალური შენობა-ნაგებობების სართულების ჯამური ფართობის შეფარდება მიწის ნაკვეთის ფართობთან“.

მარტივად აგიხსნით: დავუშვათ, მშენებელმა (კომპანიამ ან ფიზიკურმა პირმა), ქალაქის მერიის არქიტექტურის სამსახურისგან მიიღო კონკრეტულ ფართობზე საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის ნებართვა, რომლის K2 კოეფიციენტი მხოლოდ 7 სართულითაა განსაზღვრული, მშენებელი ვალდებულია, ზუსტად 7-სართულიანი კორპუსი ააშენოს. გაინტერესებთ, რა ხდებოდა ამ რეგულაციამდე? – როგორც წესი, 4 ან 5-სართულიანი კორპუსის მშენებლობის ნებართვას იღებდნენ, მერე არქიტექტურის სამსახურში გარკვეულ თანხას იხდიდნენ და K2 კოეფიციენტს ისე ცვლიდნენ, როგორც სურდათ – საბოლოოდ, 5-სართულიანის ნაცვლად, 9 ან 16-სართულიან კორპუსს აშენებდნენ, ოღონდ ყველა სამშენებლო პარამეტრი, უსაფრთხოების ნორმების ჩათვლით, როგორც წესი, 5-სართულიანზე იყო გათვლილი.

ესაა ობიექტური რეალობა და ასეთი მკვლელი შენობებითაა სავსე, როგორც თბილისი, ასევე, ბათუმიც და საქართველოს თითქმის ყველა ქალაქი.

სხვათა შორის, K2 კოეფიციენტის გაზრდის წინააღმდეგ, პირველად კახა კალაძის წინამორბედმა, დავით ნარმანიამ 2014 წელს გაილაშქრა, თუმცა აუცილებლად უნდა დავაზუსტოთ, რომ ნარმანიამ ამ კოეფიციენტის ცვლილება კი არ აკრძალა, არამედ, დროებით შეზღუდა, თანაც თბილისის მხოლოდ ცენტრალურ უბნებში, კალაძემ კი K2 კოეფიციენტის ცვლილება დედაქალაქის მასშტაბით აკრძალა.

კარგი იქნება, თუ ბათუმის მერი კალაძის გამოცდილებას გაიზიარებს და K2 კოეფიციენტის ცვლილებას აკრძალავს.

მშენებლობის კოეფიციენტის ზრდა კონკრეტული თანხის სანაცვლოდ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაკანონდა. „ფაქტჩეკის“ მონაცემებზე დაყრდნობით, 2009 წლიდან 2014 წლის აგვისტომდე, თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა K2 კოეფიციენტის ზრდასთან დაკავშირებით 1 948 თანხმობა გასცა.

ქაოტური მშენებლობების ბუმი

„მშენებელთა ლიგის“ თავმჯდომარე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ანზორ საპანდელიძე „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ უკანონო და მკვლელი მშენებლობების ბუმი საქართველოში ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო.

– ის, რაც ბათუმში მოხდა, საქართველოს მასშტაბით წარმოებული უნებართვო მშენებლობების საერთო ჯაჭვის ერთ-ერთი, სამწუხარო რგოლია. რა მოხდა, ამის ზუსტად თქმა ახლა ძნელია, მაგრამ ის განუკითხაობა და ქაოსი, რაც საქართველოშია, 2004 წლიდან გამეფდა, როდესაც სამშენებლო მაფიამ გააუქმა მშენებლობის ხარისხი, სამშენებლო წესრიგი, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვა, სეისმოუსაფრთხოება, სამშენებლო-ეკოლოგიური უსაფრთხოება და სამშენებლო პოლიტიკის გამტარებელი, მშენებლობის სამინისტრო. მეტსაც გეტყვით, პოსტსაბჭოთა სივრცის არცერთ ქვეყანას არ გაუუქმებია და ევროკავშირის წევრი ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაშიც ფუნქციონირებს ეს სამინისტრო. უწყების გაუქმებამდე, სამშენებლო მაფიას თავისუფლად რომ ეგრძნო თავი და ეპარპაშა, არქმშენინსპექცია მოშალეს, რომელიც სამშენებლო, გნებავთ, სარემონტო, თუ მიშენება-დაშენების ნებართვებს გასცემდა და აკონტროლებდა კიდეც მშენებლობებს.

მშენებლობის სამინისტროს გაუქმების შემდეგ დაიწყო დიდი უბედურება ამ ქვეყანაში. სამშენებლო მაფია სამინისტროს ვერ ეკარებოდა, რადგან წარმოუდგენელი იყო ისეთი ნებართვების გაცემა, რომელიც უწყების გაუქმების შემდეგ გასცეს. პირდაპირ გეუბნებით და თითოეულ სიტყვას ვადასტურებ, რომ სწორედ 2004 წლის შემდეგ, სამშენებლო მაფიამ სასიკვდილი კონვეიერი აამოქმედა.

– რას გულისხმობთ, ბატონო ანზორ?

– სასიკვდილო სამშენებლო ნებართვების გაცემას! 2004 წლის შემდეგ გაცემული სამშენებლო ნებართვების 90% სასიკვდილოა. რეალურად, სამშენებლო ზედამხედველობაც სასიკვდილოა და ამის შემდეგ, სასიკვდილოდ აშენებულის მიღება-ჩაბარება ხორციელდება. აგერ, სულ ახლახანს, პარლამენტში გაიტანეს სამშენებლო ამნისტიის კანონპროექტი, რომლითაც ყველა შეჩერებული მშენებლობა უნდა მიიღონ და ჩაიბარონ. არავინ ამოწმებს, რამდენად კანონიერადაა გაცემული ნებართვა, ჰქონდა თუ არა მიშენება-დაშენების ნებართვა ან მეწყერსაშიშ ზონაშია, თუ არა ეს შენობა.

სხვათა შორის, ამნისტიის შესახებ კანონპროექტის განხილვა ორჯერ გადაიდო, მაგრამ მიმდინარე წლის ზაფხულში მაინც „გააპარეს“ და მიიღეს. ეს ნიშნავს, რომ უკანონოდ აშენებული და დროებით შეჩერებული ნებისმიერი შენობა, მაპატიეთ და, „გააპრავეს“. მართალია, უკანონო მშენებლობები, თითქოს კანონიერ ჩარჩოებში მოაქციეს, მაგრამ რა ეშველება იმ ხალხს, რომელმაც ასეთ შენობებში უნდა იცხოვროს? ამაზე აღარავინ ფიქრობს.

– მშენებლობის სამინისტროს ფუნქციები მუნიციპალიტეტებშია გადანაწილებული, სწორედ ახლა, ქვეყნაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია და 30 ოქტომბერს, მეორე ტური უნდა გაიმართოს. კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად, დროის უმოკლეს ვადებში, ბათუმის მერიის არქიტექტურის ან თუნდაც სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურებმა რა გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს?

– ეს პრობლემა სამშენებლო რეგულაციების გამკაცრებით უნდა მოგვარდეს და თუ საჭიროა, ახალი რეგულაციებიც უნდა შემოვიღოთ, თუმცა რა კანონებიც გვაქვს, იმასაც კი არ ვასრულებთ. მაგალითად, არსებობს კანონი სეისმომედეგობის შესახებ, სადაც პირდაპირ წერია, რომ თუ შენობა რკინა-ბეტონის კარკასული კიდისაა, მისი სართულიანობა, მაქსიმუმ, 12 უნდა იყოს, ხოლო თუ ურიგელო კარკასულია ანუ როდესაც სართულებს ერთიანად აბეტონებენ, მისი მაქსიმალური სართულიანობა 7 უნდა იყოს. თბილისი 8-ბალიან სეისმურ ზონაშია და შესაბამისად, 7-სართულიანი, მაქსიმუმ 12-სართულიანი შენობების მშენებლობის უფლება გვაქვს. არადა, დედაქალაქი გადაჭედილია 16, 20, 30 და 40-სართულიანი შენობებით და ამაზე პასუხისმგებელი არავინაა.

რეალური მიზეზები, რის გამოც საქართველოში პური და ფქვილი გაძვირდა

ადგილობრივი ბაზრის დაცვის რა მექანიზმებს განიხილავს ეკონომიკური პროფილის სამი უწყება

მაკა რუხაძე

ბოლო ერთ კვირაში, საქართველოში ფქვილი გაძვირდა. უფრო ზუსტად, ადგილობრივი წარმოების პირველი ხარისხის 1 ტონა ფქვილი – 72 ლარამდე, ხოლო უმაღლესი ხარისხის 1 ტონა ფქვილი 80 ლარამდე გაძვირდა. ამავდროულად, ირკვევა, რომ რუსეთიდან იმპორტირებული ფქვილი 7-8 ლარით ნაკლებია, მაგრამ პურის წარმოებაში იმპორტირებული ფქვილის წილი მხოლოდ 5%-ია. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ციებ-ცხელებაში, ქვეყანაში ფქვილიც გაძვირდა, პურიც, ზეთიც, შაქარიც და პირველადი მოხმარების სხვა პროდუქტებიც.

„ვერსია“ დაინტერესდა, რა ხდება ხორბლის საერთაშორისო ბაზარზე და სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, „ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის“ აღმასრულებელ დირექტორ ლევან სილაგავას დაუკავშირდა.

– ბატონო ლევან, რა ტენდენციაა ხორბლის მსოფლიო ბაზარზე?

– მსოფლიოში ხორბალი გაძვირდა. რვა ძირითადი ქვეყნიდან, რომელიც მსოფლიოს ხორბალს აწვდის, ექვსში საკმაოდ სერიოზული სირთულეა ხორბლის მოსავალთან დაკავშირებით და სწორედ ამ ექვსი ქვეყნიდან შემოაქვს საქართველოს ხორბალი. რუსეთმა, რომელსაც ხორბლის მოსავალი შეუმცირდა, აგვისტოში 82 მილიონი ტონა მოსავალი მიიღო, სექტემბერში – 10 მილიონით ნაკლები ანუ მხოლოდ 72 მილიონი ტონა. რუსეთის გარდა, უკრაინამ – 1 მილიონი ტონით ნაკლები მოსავალი, ხოლო ყაზახეთმა ნახევარი მილიონი ტონით ნაკლები მიიღეს. სხვათა შორის, ამ მხრივ, არც ევროპის ქვეყნებშია სახარბიელო მდგომარეობა, არც აშშ-ში და არც – კანადაში. მთლიანობაში, ხორბლის მსოფლიო ბირჟებზე ამას საკმაოდ ნეგატიური ტენდენციები მოჰყვა. როგორც იცით, ორი, ძირითადი ბირჟა მოქმედებს – ჩიკაგოს და პარიზის. შესაბამისად, ორივე ბირჟაზე, 1 ტონა ხორბლის ფასმა 300 აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც ფსიქოლოგიური ნიშნული გახლდათ. ამის შემდეგ, რუსეთშიც გაძვირდა და 1 ტონა ხორბლის ფასი იქაც 300 აშშ დოლარზე მეტია. გარდა ამისა, რუსეთში ხორბლის მცურავი ბაჟიც გაძვირდა, ეს ბაჟი ყოველკვირეულად იცვლება იმ ქვეყნებში, რომლებიც ხორბალს რუსეთიდან ყიდულობენ. აქედან გამომდინარე, სამწუხაროდ, ხორბლის მსოფლიო ბაზარზე, ფასის ზრდის ტენდენცია ფიქსირდება.

– საქართველოზე, რომელიც ხორბლის იმპორტიორი ქვეყანაა, მსოფლიო ბაზარზე არსებული ეს სამწუხარო ტენდენცია როგორ აისახება?

– ნელ-ნელა ეს ტენდენცია ჩვენც გადმოგვედო, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველო მარაგებზე მუშაობს და ხორბალს საშუალო შეწონილი ფასით ვყიდულობთ. ეს საშუალებას გვაძლევს, გარკვეული სტაბილიზაცია შევინარჩუნოთ ბაზარზე, რაც ნიშნავს, რომ ძლიერი და მყისიერი გაძვირებები ავიცილოთ თავიდან. აქედან გამომდინარე, ოქტომბრის შუა რიცხვებამდე, ხორბლის დღევანდელი ფასი შენარჩუნდება, ამის შემდეგ, მსოფლიო ბაზარზე, სექტემბერში გაძვირებული ხორბალი შემოვა ქვეყანაში და ეს ბაზარზეც აისახება.

– დღეს ხორბალი რა ღირს?

– ხორბლის დღევანდელი ფასი ასე განისაზღვრება: ესაა იმპორტირებული ფქვილის ფასი, რაც 62-63 ლარის ფარგლებშია და გვაქვს ადგილობრივი წისქვილების მიერ დაფქვილი, რომელიც 70-71 ლარის ფარგლებშია. უფრო ძვირია ადგილზე დაფქვილი, რადგან რუსეთში მცურავი ბაჟი მოქმედებს, თუმცა აუცილებლად უნდა დავაზუსტოთ, რომ მცურავი ბაჟი ეხება მხოლოდ და მხოლოდ ხორბალს და არა – ფქვილს. სხვათა შორის, მცურავი ბაჟის შემოღებით, რუსეთმა საკუთარი სასურსათო უსაფრთხოება დაიცვა იმიტომ, რომ ნაკლები ხორბალი გასულიყო ქვეყნის გარეთ, ხოლო მეტი ადგილზე დარჩენილიყო, რათა საკუთარ შიდა ბაზარზე, ხორბალი არ გაძვირებულიყო. შესაბამისად, 1 ტონა ხორბალი 53 აშშ დოლარით უფრო

ძვირია, ვიდრე 1 ტონა ფქვილი, რის გამოც ფქვილი ძალიან აგრესიულად შემოდის საქართველოში.

ამან ერთგვარი პრობლემა შექმნა, ადგილობრივი წისქვილების მენეჯმენტსა და დირექტორებს შეუძლიათ, რომ ხორბლის ნაცვლად, რუსეთიდან ფქვილი წამოიღონ, რაც ძალიან დიდი გამოწვევაა. თუ წისქვილკომბინატი ხორბლის ნაცვლად, რუსეთიდან ფქვილს შემოიტანს, ეს ნიშნავს, რომ მუშაობა უნდა გააჩეროს. შესაბამისად, სამუშაო ადგილების შემცირება მოუწევს, ამჟამად, წისქვილკომბინატში 100-120 ადამიანი მუშაობს, ფქვილის იმპორტის დროს კი მხოლოდ 10-12 ადამიანი დასჭირდება.

გარდა ამისა, წისქვილკომბინატები მეორე პრობლემის წინაშეც დადგებიან – თუ წისქვილები არ იმუშავებენ, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანებიც შემცირდება. მესამე პრობლემა ისაა, რომ როდესაც წისქვილი მუშაობს ანუ ხორბალს ფქვავს, ვიღებთ, როგორც ფქვილს, ასევე, ქატოს ანუ 70% – ფქვილია, 30% – ქატო. თავისთავად ცხადია, ქატო მეცხოველეობა-მეფრინველეობაში მიდის. შესაბამისად, თუ წისქვილები გაჩერდებიან, უკვე ქატოს შემოტანაც დაგვჭირდება, რადგან 90%-ით, ადგილობრივი ქატოთი მარაგდება ქვეყანა. ცხადია, თუ ქატოს იმპორტი დაგვჭირდება, სამომავლოდ, ეს ხორცის ფასზეც აისახება.

ყველაზე მთავარი პრობლემა გარდამავალი მარაგებია, რადგან როდესაც წისქვილი მუშაობს, ადგილზე გვაქვს ხორბალი, ნაწილი გზაშია და ნაწილზე ახალი კონტრაქტი ფორმდება. ფქვილის იმპორტის დროს, ეს პროდუქტი უკვე მზაა, შესაბამისად, მზა ფქვილს არ სჭირდება დასაწყობება, პირდაპირ მიდის პურის ქარხანაში, რომელიც პურს აცხობს და მარაგებიც პრობლემა ხდება. ეს იმიტომ, რომ ფქვილი მხოლოდ მოკლე ვადით ინახება, მისი ვარგისიანობა ოთხიდან ექვს თვემდეა, არადა, ხორბალი წლობით ინახება, შეგიძლიათ, ორი-სამი წელი შეინახოთ. წისქვილკომბინატებს შეუძლიათ, რომ ერთდროულად, 240 000 ტონა ხორბალი შეინახონ, აქედან აქტიურია 150 000 ტონა, დანარჩენი – მარაგია.

– ქვეყანა ყოველთვიურად რა ოდენობის ხორბალს მოიხმარს?

– ყოველთვიურად საქართველოს 40-45 000 ტონა ხორბალი სჭირდება. შესაბამისად, ჩვენ სულ 100 000 ტონა ხორბლის მარაგი გვაქვს, რაც ფქვილის იმპორტის შემთხვევაში, არ გვექნება. სხვათა შორის, ასეთივე პრობლემა აქვს ბევრ ქვეყანას, მაგრამ ახალი გაძვირებისა და გამოწვევის ფონზე, ზოგი ქვეყანა საკანონმდებლო ინიციატივის საშუალებით ახერხებს ფასების შემცირებასა და მარაგების დატოვებას და ამის მაგალითია აზერბაიჯანი, სადაც ხორბლის იმპორტი და ფქვილის გადამუშავება დამატებითი ღირებულის გადასახადისგან (დღგ) გათავისუფლდა. გარდა ამისა, მათ, რომლებიც ხორბალს შეიტანენ ქვეყანაში, გარკვეულ საკრედიტო და ფულად დახმარებას უწევენ.

– მოკლედ, აზერბაიჯანი საკუთარ ბაზარს იცავს, არა?

– დიახ და რაც მთავარია, ამ პროდუქტის გარეთ გატანაზე ბეგარაა დაწესებული, შედეგად, აზერბაიჯანი იცავს საკუთარ ბაზარს – შეაქვს იაფად, ქვეყანაშიც იაფია და პროდუქტიც გარეთ არ გადის. მაგალითად, ერთი თვის წინ თურქეთმა ხორბლის საიმპორტო გადასახადი გააუქმა. იგივე გააკეთა მაროკომ, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში სატარიფო კვოტები მოქმედებს. ვფიქრობ, გარკვეულწილად, საქართველომაც უნდა აამოქმედოს სატარიფო კვოტები, რათა ერთი მხრივ, ხორბლისა და ფქვილის იმპორტს შორის ბაალანსი დაიცვას, მეორე მხრივ კი არც წისქვილკომბინატები გაჩერდნენ. ამასთან დაკავშირებით, უკვე ვმუშაობთ, როგორც სოფლის მეურნეობისა და სურსათის, ასევე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და ფინანსთა სამინისტროებთან. შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ეკონომიკური პროფილის სამივე უწყების მინისტრების მოადგილეები არიან ჩართულები და ვფიქრობთ, ადგილობრივი ბაზრის დასაცავად, სატარიფო კვოტების ან საკანონმდებლო ინიციატივის სახით, გარკვეული გადაწყვეტილება ჩვენც უნდა მივიღოთ, რაც ევროკავშირის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებთან წინააღმდეგობაში არ მოვა.

სამართალი

№37 13 ოქტომბერი 2021 წ

ტაქსისტების სერიული მკვლელობები თბილისში

ბათო ჯაფარიძე

დღეს მანქანა არავის უკვირს. მეტ-ნაკლებად შეძლებულ ოჯახებს ავტომობილი ჰყავთ და არცთუ იშვიათად, ოჯახში რამდენიმე ავტომობილია. ადრე კი ასე არ იყო, მანქანას მარტივად ვერ იყიდდი – რიგში უნდა ჩამდგარიყავი და ამ რიგს, შესაძლოა, ათ წელიწადში მოეღწია. აი, ასეთი მოლოდინითა და ტანჯვით ნაყიდ მანქანას ძნელად თუ ვინმე ელეოდა. უცხოური ავტომობილები იმაზე დიდი იშვიათობა იყო, ვიდრე ახლა – საბჭოთა მანქანები. რესპუბლიკაში ერთ-ორ კაცს თუ ჰყავდა უცხოური ავტომობილი და ასე იყო ყველგან, დანარჩენ მოძმე რესპუბლიკებშიც. ამიტომ, თუ ვინმეს მანქანის გაყიდვა სურდა, ამას მარტივად ახერხებდა იმიტომ, რომ შეძენის მსურველი უამრავი გახლდათ. სხვადასხვა რესპუბლიკებიდანაც ხშირად ჩამოდიოდნენ, თუ გაიგებდნენ, რომ ვინმე კარგ ავტოს ყიდდა. ჰო, მაშინ „ვოლგა“ ფუფუნების საგნად ითვლებოდა და ყაზახეთისა თუ უზბეკეთის მოსახლეობა, რომელიც წლიდან წლამდე უამრავ ფულს შოულობდა, მზად იყო, „ვოლგაში“ სამი ბინის ფულიც კი გადაეხადა. ეს მაშინ, როცა იგივე „ვოლგა“, ტაქსად დარბოდა მთელ საბჭოეთში.

სამი ძმის ბანდა, რომელიც მანქანებს იტაცებდა და უზბეკეთში ყიდდა

„თბილისში, ტაქსის ერთ-ერთი მძღოლი გარდაცვლილი იპოვეს, ყელზე ზონარი ჰქონდა წაჭერილი, გულში კი დანა ჩარტყმული. როგორც ჩანს, პროფესიონალი მოქმედებდა, რადგან დარტყმის შემდეგ, დანა ჭრილობაშივე იყო მოტრიალებული. დანის ჭრილობაში ტრიალი მსხვერპლს გადარჩენის შესაძლებლობას უკარგავს. გამქრალი იყო მისი „ვოლგა“ და, რა თქმა უნდა, მანქანა გამოვაცხადეთ ძებნაზე, რადგან მისი აღმოჩენა მკვლელის ან მკვლელების კვალზე გაგვიყვანდა. მკვლელების იმიტომ, რომ ექსპერტმა გვითხრა, ზონარი უკნიდან შემოუჭირეს ყელზე, დანა კი წინ მჯდომმა დაარტყაო“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ავტომობილის ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო, თანაც გვამი, დაახლოებით, 14-16 საათის შემდეგ იპოვეს და ამ დროის განმავლობაში, მკვლელებს საქართველოს ნებისმიერ წერტილში შეეძლოთ მისვლა. სამართალდამცავები მძღოლის სამუშაო ადგილზე მივიდნენ და მისი კოლეგები გამოჰკითხეს, რომლებმაც თქვეს, რომ დაახლოებით, ორი კვირის წინ, მოკლულს „ტაქსოპარკის“ ხელმძღვანელთან სერიოზული უთანხმოება მოუვიდა და ერთმანეთს ხელითაც კი შეეხნენ. მიზეზი არავინ იცოდა, ამიტომ, უშუალოდ ორგანიზაციის ხელმძღვანელი დაკითხეს.

„მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ტაქსისტები მხოლოდ ხელფასზე არ მუშაობენ, ამიტომ მათ ყოველდღიურად, 15-20 მანეთის გადახდის ვალდებულება აქვთ იმ თანხის გარდა, რომელსაც მრიცხველი დაუწერს. ეს კი არაფერს იხდიდა, პატიოსნად მუშაობდა, რასაც მრიცხველი წერს, ის მომაქვსო. რამდენჯერმე გადავამოწმე კიდეც, ნაცნობები ჩავუსვი, მათ შესთავაზეს, მრიცხველი არ ჩართო, ისე მოვრიგდეთო, მაგრამ ყოველ ჯერზე, ის მხოლოდ მრიცხველით დადიოდა. აეროპორტში წაყვანაზეც კი ზედმეტს არავის ართმევდა. ერთი უცხოელი მეგობარი მყავდა სტუმრად, ისიც კი მივუგზავნე, მაგრამ ზედმეტი არც მას გამოართვა. მე ჩემი გადასახადი მაქვს იქ, ზემოთ, ამიტომ ვუთხარი, რომ სხვა სამსახური მოეძებნა. მან არ დამიჯერა და შევკამათდით“, – განაცხადა „ტაქსოპარკის“ ხელმძღვანელმა და მეორე დღეს სამსახური დაკარგა. აი, იქ, ზემოთ კი არავის შეხებიან.

მეზობლები, მეგობრები, ყველა ამბობდა, რომ გარდაცვლილი უწესიერესი კაცი იყო, ორი შვილი დარჩა და მათაც ასე, პატიოსნად ზრდიდა. სხვა ტაქსისტებისგან განსხვავებით, არასდროს ედო ჯიბეში ბევრი ფული და მოკრძალებულად ცხოვრობდა.

სანამ სამართალდამცავები ამ მკვლელობით იყვნენ დაკავებულნი, მეორე შემთხვევა მოხდა. ისევ ტაქსის მძღოლი, ისევ ყელზე ზონარი და ისევ დანა, თუმცა...

„მძღოლი გადარჩა – დანა გულამდე ძვალმა არ მიუშვა, მაგრამ ტკივილისგან გონება დაკარგა. ამ დროს, უკნიდან, ტაქსს სხვა მანქანა მიადგა, თავდამსხმელებს შეეშინდათ, მძღოლი მიწაზე გადააგდეს და ავტომობილი გაიტაცეს. სწორედ შემთხვევითმა ავტომობილის მძღოლმა უშველა დაჭრილს, საავადმყოფოში მიიყვანა და მილიციაშიც თავად დარეკა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ახლა მილიციას მოწმეც ჰყავდა, რომელმაც თქვა, რომ გატაცებულ ავტომობილში სამნი ისხდნენ, მათი სახეები კი ვერ გაარჩია. მთავარი იყო, დაჭრილი გადარჩენილიყო და გადარჩა კიდეც – ექიმებმა ოპერაცია დროულად გააკეთეს და რაც მთავარია, დაჭრილი შემთხვევითი გამვლელის წყალობით, საავადმყოფომდე დროულად იქნა მიყვანილი. მილიციამ ყოველი შემთხვევისთვის მოწმეც გადაამოწმა, მაგრამ ხელჩასაჭიდი ვერაფერი ნახა და მისი შესაძლო მონაწილეობა გამორიცხა. ერთ კვირაში, დაჭრილს საუბარი შეეძლო.

„სამი მამაკაცი ჩავისვი, სამივე არაქართველი. მგონი, შუა აზიიდან უნდა იყვნენ, სახის შესაბამისი მოყვანილობა და თვალის სპეციფიური ჭრილი ჰქონდათ. კონკრეტულ ადგილზე წაყვანა მთხოვეს, დაახლოებით, 3 კილომეტრის გავლის შემდეგ კი მანქანა გამაჩერებინეს. ამ დროს, უკნიდან ყელზე რაღაც მომიჭირეს, მერე მკერდთან ტკივილი ვიგრძენი, მერე კი აზრზე საავადმყოფოში მოვედი“, – სულ ეს იყო, რაც მძღოლმა გაიხსენა, თუმცა ესეც საკმარისი გახლდათ. ახლა მილიციამ იცოდა, ვინ უნდა მოეძებნა და რაც მთავარია, იცოდა ისიც, რომ საქმე შუა აზიის რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ჰქონდათ.

საქართველოს მასშტაბით, ყველა შუაააზიელის დოსიე შეგროვდა, განსაკუთრებით სანდოები დაკითხეს კიდეც, აინტერესებდათ, ხომ არ იყო ვინმე ისეთი, ვინც მანქანებზე „ჩალიჩობდა“ და იაფად ყიდდა, თუმცა ვერავინ ნახეს. მოთხოვნა გაგზავნეს ყაზახეთში, უზბეკეთში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში, თუმცა საიმედო პასუხი ვერც იქიდან მიიღეს. „ვოლგის“ შეძენის მსურველი მათთან ბევრი იყო, მაგრამ მანქანები არ იშოვებოდა. ეს კიდევ ერთხელ ამყარებდა ეჭვს, რომ აქ დაკარგული ავტომობილები, დიდი ალბათობით, სწორედ იქ მიდიოდა. გააფრთხილეს ყველა ტაქსის მძღოლი, თუ მათ შუა აზიის წარმომადგენლები გააჩერებდნენ, ყურადღებით ყოფილიყვნენ, ხოლო ღამის საათებში, სამი ასეთი მამაკაცისთვის მანქანა, უბრალოდ, არ გაეჩერებინათ და მაშინვე მილიციაში დაერეკათ. ამ ღონისძიებამ შედეგი გამოიღო, თვე ისე გავიდა, თავდასხმა არ განხორციელებულა, მაგრამ არც მძღოლები ამბობდნენ, რომ შესაბამისი აღწერილობის პირებმა ტაქსით მგზავრობა სცადეს. თავდამსხმელები, უბრალოდ, გაქრნენ და გაჩნდა ეჭვი, რომ ორი ავტოს გაყიდვის შემდეგ, მათ „მოღვაწეობა“ დაასრულეს, თუმცა...

ოფიციალური ტაქსის მძღოლების გარდა, იყვნენ ისეთებიც, ვისაც საკუთარი ავტომობილით, ფულის გაკეთება შეეძლო. მიდიხარ მშვიდად, ხელს დაგიქნევს ვინმე, მიიყვან დანიშნულების ადგილამდე და დამატებით რამდენიმე მანეთი გაქვს. ასე გადაწყვიტა ერთ-ერთმა თბილისელმა, როცა ადგილამდე, სამი შუა აზიელი მამაკაცის მიყვანა დააპირა, მაგრამ გზაში იგივე განმეორდა. მძღოლი მხოლოდ იმან იხსნა, რომ ჯარში, სადესანტო ნაწილში მსახურობდა, არ დაიბნა, ფეხები ტორპედოს მიაბჯინა, ყულფისგან თავი გაითავისუფლა და მანქანიდან გადახტომა შეძლო, თუმცა ავტომობილი გაიტაცეს. გამომძიებლები მიხვდნენ, მკვლელებს თუ არ დაიჭერდნენ, ეს არასდროს დასრულდებოდა, რადგან ყველა ავტომობილის მფლობელს, უბრალოდ, ვერ გააფრთხილებდნენ.

შუა აზიის ქვეყნებში ახალი მოთხოვნა გაიგზავნა – ხომ არ იყო სამკაციანი დაჯგუფება, რომელიც ადრე, სწორედ აღნიშნული პროფილით მოქმედებდა და ამჯერადაც უარი მოვიდა. სამართალდამცავებმა აღარ იცოდნენ, რა ექნათ და საშველი ისევ ტაქსის მძღოლებისგან გამოჩნდა. ერთ-ერთმა ტაქსისტმა, საღამოს საათებში, სამ შუააზიელს მანქანა არ გაუჩერა, მაგრამ მილიციაში დარეკა და მათ თვალთვალი დაუწყო. ადგილზე მისულმა თანამშრომლებმა გადაწყვეტილება მარტივად მიიღეს – ტაქსის მძღოლად ერთ-ერთი მილიციელი დაჯდა და როცა სამეულმა ხელი დაუქნია, „ვოლგა“ ფეხებთან მიუჩერა, მათ უკან კი ოპერმუშაკების მანქანა დადგა, დახმარება სამართალდამცავებმა რაციით გამოიძახეს. ტაქსი დაიძრა და ქალაქიდან გავიდა. ოპერმუშაკების უკვე სამი ავტომობილი, დაახლოებით, 40-50-მეტრიან დისტანციაზე მისდევდა. მცხეთის შესასვლელთან, ტაქსი გზიდან გადავიდა და გაჩერდა. ოპერმუშაკების ერთ-ერთი ავტომობილი ნელა გასცდა და დაინახა, როგორ ფართხალებდა საჭესთან მჯდარი გადაცმული მილიციელი. შემდეგ ყველაფერი ელვისუსწრაფესად მოხდა, მანქანა ალყაში მოექცა, სამართალდამცავის დაჭრა ვერ მოასწრეს, თუმცა ყულფი ისე ჰქონდა მოჭერილი, ძლივს ამოისუნთქა. სამართალდამცავებმა უზბეკეთის სამი მოქალაქე, სამი ძმა, გვარად ჰუსეინოვები დაიჭირეს.

„გეგმა შუათანა ძმის მოფიქრებული იყო და რაც მთავარია, უფროსსა და უმცროს ძმებს მისი ძალიან ეშინოდათ. მოპარულ მანქანებს შავი ზღვით უშვებდნენ და საბოლოოდ, უზბეკეთამდე ჩაჰყავდათ, იქ კი მარტივად ყიდდნენ. შუათანა ძმა საბრძოლო ხელოვნების ოსტატი იყო, ამიტომ ძლიერი და ზუსტი დართყმა ჰქონდა. რაც მთავარია, მან სადღაც ამოიკითხა, რომ ჭრილობაში დანის დატრიალება სიკვდილის შანსს ზრდიდა და ამიტომ, სიხარულით ატრიალებდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

სასამართლომ მხოლოდ ბანდის ორგანიზატორი და უშუალოდ მკვლელობის შემსრულებელი დასაჯა სიკვდილით, ორ ძმას კი 14 და 10 წელი მიუსაჯა. საბჭოთა სასამართლო ერთი ოჯახის სამივე წევრს, უბრალოდ, არ დახვრეტდა, რადგან... მაშინ ყველაზე ჰუმანური სახელმწიფოს პრეტენზია გვქონდა.

სისხლიანი სასიყვარულო სამკუთხედი – დედამ ქალიშვილი მოკლა

ვისი დახმარებით და როგორ გახსნეს ძალოვნებმა შემზარავი დანაშაული

ბათო ჯაფარიძე

არცთუ იშვიათად, ერთსა და იმავე სამსახურში მომუშავე ცოლ-ქმარს მივლინებით ერთად უშვებდნენ. ასე მიდიოდნენ ოჯახები საცხოვრებოად ერთი ან ორი წლით საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში. მეტიც, არცთუ იშვიათი იყო შემთხვევა, როცა იქ რჩებოდნენ და უკან დაბრუნება აღარ სურდათ. საქართველოშიც იყვნენ ასეთი ოჯახები, თანაც საკმაოდ მრავლად – სტუმართმოყვარე და რაც მთავარია, წელში გამართულ ქვეყანაში ცხოვრება ყველას მოსწონდა.

„სწორედ ასეთი ოჯახი იყო ჩამოსული რუსეთიდან, ცოლ-ქმარი მეტალურგები იყვნენ და რუსთავში გამოუშვეს. ქალაქი ძალიან მოეწონათ და დარჩნენ. მათ ერთი შვილი ჰყავდათ – 16 წლის გოგონა და სწორედ ამ გოგოს გამო გავიცანი ისინი. ბავშვი მეშვიდე სართულიდან გადმოხტა და სასიკვდილოდ დაიმტვრა. ამ დროს, შინ მხოლოდ დედა იყო, მამა რუსეთში გახლდათ, რადგან ძმა გარდაეცვალა და გასვენებაში წავიდა. რა თქმა უნდა, იქიდან სასწრაფოდ დაბრუნდა, როგორც მეზობლებმა გვითხრეს, შვილის კუბოზე დაემხო და ბოლო ხმაზე იმუქრებოდა, შენს მკვლელს ვიპოვი და დავსჯიო“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებს მკვლელობის ვერსიაზე ეჭვი ისედაც ჰქონდათ, რადგან ფანჯარაზე არ იყო ნაფეხურები. როგორც დედა ამტკიცებდა, გოგონა კი არ გადმოხტა, არამედ, ფანჯრების გასაწმენდად რაფაზე ავიდა და ფეხი დაუცდა. იქვე იყო სველი ჩვარი, თუმცა არ ჩანდა ნაფეხური, მით უმეტეს, ფეხის ასრიალების დროს, მკვეთრი კვალი რჩება. გამომძიებლებმა ოჯახის შესწავლა დაიწყეეს და ვერაფერი გაარკვიეს იმის გარდა, რომ დაახლოებით, რვა თვის წინ, ქმარმა ცოლი ისე სცემა, მილიციის გამოძახება გახდა საჭირო. უბნის რწმუნებულმა ქმარს 30 მანეთი გამოართვა ქრთამის სახით, თითი დაუქნია, მეორედ აღარ ქნაო და საქმე არც აღძრულა. სხვა საეჭვო არაფერი იყო, ოჯახი ჩვეულებრივ ცხოვრობდა – მშობლები მუშაობდნენ, გოგო სწავლობდა და კონფლიქტი არავისთან ჰქონდა, თუმცა...

ბავშვის დასაფლავებიდან ერთ კვირაში, ქალი სასწრაფო დახმარების მანქანამ საავადმყოფოში გადაიყვანა. ექიმებმა მილიციაშიც დარეკეს, რადგან ქალბატონი ნაცემი იყო და ცხვირ-პირიდან სისხლი სდიოდა. როგორც ამბობდა, შინ მიმავალს, უკნიდან ვიღაც დაესხა და მისი გაგუდვა სცადა, ქალმა წინააღმდეგობა გაუწია, მან კი სახეში მუშტები დაუშინა, რათა გაეთიშა, თუმცა ვერ მოახერხა. ყვირილზე ხალხი მოგროვდა და თავდამსხმელი გაიქცა.

„მოწმეების დაკითხვით, მხოლოდ ერთი რამ გავარკვიეთ – დასისხლიანებული ქალი მიწაზე ეგდო და ბოლო ხმაზე ყვიროდა, თავდამსხმელი კი არავის დაუნახავს. ექიმების დასკვნით, ქალი სასტიკად ნაცემი არ იყო, რადგან სილურჯეები არ ეტყობოდა და ყველაზე დიდი, ცხვირში ერთხელ ჰქონდა ხელი მოხვედრილი, რამაც სისხლდენა გამოიწვია. ყელში ხელის წაჭერისა და დახრჩობის მცდელობის კვალიც არ ემჩნეოდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა ქალს თვალთვალი დაუწყეს, აინტერესებდათ, განმეორდებოდა თუ არა თავდასხმა, რადგან თუ ვინმემ მისი მოკვლა მართლაც სცადა, მეორედაც შეეცდებოდა მკვლელობას. ათდღიანი თვალთვალით ვერაფერი დადგინდა. არადა, ქალი ამ ათი დღის განმავლობაში, ორჯერ შინ ისე გვიან და ისეთი გზებით დაბრუნდა, პოტენციური მკვლელი უკეთესს ვერ ინატრებდა, თუმცა არავინ გამოჩენილა. კიდევ ერთი კვირის შემდეგ, ქალს თავს მართლა დაესხნენ და ოპერმუშაკებმა მისი დაკავება მოახერხეს. რაოდენ დიდი იყო გაოცება, როცა ხელში... ქმარი შერჩათ. რაღა თქმა უნდა, ის სასწრაფოდ დაკითხვაზე წაიყვანეს, თუმცა კაცმა არაფერი თქვა – ხანდახან თავს ვერ ვაკონტროლებ და მაგის ბრალიაო. ხმა არ ამოიღო ცოლმაც, აქაოდა, ასეთი შემოტევები ჩემს ქმარს რუსეთშიც ჰქონდა, მიჩვეული ვარ, ამის გამო, გაშორებას არ ვაპირებო.

ცხადი იყო, ორივე მხარე რაღაცას მალავდა, მაგრამ რას?!

გამოძიება ჩიხში შევიდა. თვალთვალიც აღარ გამოდიოდა, რადგან ქალი მიხვდა, რომ სამართალდამცავები ისე მალე შემთხვევით ვერ გაჩნდებოდნენ და მუდმივად უკან იხედებოდა. კაციც გაფრთხილდა, ცდილობდა, სამსახურის შემდეგ, პირდაპირ შინ მისულიყო და თითქოს ოჯახური იდილიაც შეიკრა, მაგრამ ყველაფერი ეს, ომის წინ ჩამოვარდნილ სიმშვიდეს ჰგავდა. სწორედ მაშინ, როცა მილიცია ელოდა, რომელს უმტყუნებდა ნერვები, განყოფილებაში გარდაცვლილი გოგონას დაქალი, მშობლებმა მიიყვანეს.

„ჩემმა მეგობარმა გარდაცვალების დღეს დამირეკა, ვუპასუხე თუ არა, დედამისის ხმაც გავიგონე, უყვიროდა. მეგობარმა ყურმილი დაკიდა, მაგრამ სიჩქარეში ან ნერვიულობაში, კარგად ვერ დადო და ყველაფერი მესმოდა. დედა-შვილი ბოლო ხმაზე უყვიროდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი ყვირილი შეწყდა და ხმაური გარეთ ატყდა. გავიხედე და ჩემი მეგობარი ასფალტზე გაუნძრევლად ეგდო“, – დაახლოებით, ასეთია გარდაცვლილი გოგონას მეგობრის ჩვენება.

აღნიშნული ჩვენებით ერთი რამ უეჭველად დგინდებოდა – გოგონა ფანჯრებს არ წმენდდა და შესაბამისად, ვერც ფეხი დაუცურდებოდა რაფაზე. ის ან გადმოხტა ისე, რომ რაფას არ შეეხო, ან უბრალოდ, დედამ გადმოაგდო. რაც მთავარია, გარდაცვლილის მეგობარმა ჩვენებაში თქვა, რომ ყვირილის დროს დედა-შვილმა რამდენჯერმე ახსენეს ვინმე დათო. მილიციამ სწორედ ამ ახალი პერსონაჟის ძებნა დაიწყო და მალე მიაგნო. დათო გვერდით კორპუსში მცხოვრებ 25 წლის ბიჭს ერქვა, რომელზეც მეზობლები ამბობდნენ, რომ სწორედ ის გარდაცვლილი გოგო უყვარდა.

„გადავწყვიტე, ბიჭი დაკითხვაზე დამებარებინა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გოგოს გარდაცვალების მეორე დღეს, მან სამსახურში შვებულება აიღო და სოფელში წავიდა. რა თქმა უნდა, სოფელში ჩავედით და მეტი ეფექტისთვის, დასაკითხი ობიექტი ქალაქში წამოვიყვანეთ, თანაც ისე, რომ მანქანაში კრინტი არ დამიძრავს. ეს ფსიქოლოგიური მომენტია – ეჭვმიტანილს ნერვები აწყდება და შეცდომებს უშვებს“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

დათოს მონაყოლმა საქმე მთლიანად ამოაბრუნა. როგორც მან აღნიშნა, მეზობლის ქალი, დაახლოებით, ერთი წლის წინ, შემთხვევით, მაღაზიაში გაიცნო, შემდეგ კი ქალმა სთხოვა, მძიმე ჩანთები მაქვს, სახლში ამატანინეო. შემდეგ ჩაის დალევა შესთავაზა, შემდეგ ტანსაცმელი გამოიცვალა და შალიფად ჩაიცვა. ასე გახდა დათო ქალის საყვარელი. როგორც ჩანს, ყველაფერი ეს, ქმარმა გაიგგო და სწორედ ამიტომ, მეუღლე სასტიკად სცემა. შეხვედრები შეწყდა, მაგრამ დროებით. ამის შემდეგ, წყვილი დათოს სახლში ერთობოდა და ძალიან ფრთხილობდა, თუმცა მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა – დათომ საყვარლის შვილი გაიცნო და თავდავიწყებით შეუყვარდა. გოგონაც არ იყო გულგრილი, ამიტომ ბიჭმა მომავალ სასიდედროსთან ურთიერთობის გარკვევა გადაწყვიტა და უთხრა, რომ ყველაფერი დასრულდა. შემდეგ ყველაფერში შეყვარებულსაც გამოუტყდა და...

სამართალდამცავებმა გარდაცვლილი გოგოს დედა დააკავეს და უთხრეს, რომ ჰყავდათ მოწმე, რომელმაც დაინახა, როგორ გადმოაგდო დედამ შვილი მეშვიდე სართულიდან. აუხსნეს, რომ თუ მას დახვრეტის მუხლის აცდენა სურდა, აღიარებითი ჩვენება უნდა მიეცა. არადა, საბჭოთა კავშირში, ქალებს, პრაქტიკულად, არ ხვრეტდნენ, თუმცა ამან იმუშავა.

„შვილმა სკანდალი მომიწყო, ჩემს შეყვარებულს თავი დაანებეო. ვერ დავანებებდი, მეც თავდავიწყებით მიყვარდა. შემდეგ დამემუქრა, ყვველა თანაკლასელს ჩამოვურეკავ და ვეტყვი, რომ საყვარელი გყავს, მამა გაიგებს და სახლიდან გაგაგდებსო. ეს ვერ ავიტანე და ხელი ვკარი, არ მეგონა, თუ გადავარდებოდა“, -განაცხადა ქალმა.

რა თქმა უნდა, სასამართლომ ხელის კვრის ვერსია არ გაიზიარა, რადგან ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ხელის კვრით, ფანჯრიდან ადამიანის გადაგდება შეუძლებელი იყო. ამიტომ, დაკავებულს 15-წლიანი სასჯელი მისცეს ანუ მაქსიმუმი, დახვრეტის მუხლამდე. კაცმა ამდენ სირცხვილს ვეღარ გაუძლო და სამშობლოში დაბრუნდა.

„სხვათა შორის, როგორც კი სასამართლო დასრულდა, მკვლელმა დედამ განაჩენი გაასაჩივრა, შემდეგ რუსეთში წერდა წერილებს, აქაოდა, მსურს სასჯელი მანდ მოვიხადო, საქართველოში მჩაგრავენო, მაგრამ მისი ყველა თხოვნა დაუკმაყოფილებელი დარჩა. ციხეში ჩადენილი კიდევ ერთი დანაშაულის გამო, წელიწადი დაუმატეს და საბოლოოდ, 16 წლით ჩასვეს.

ბათო ჯაფარიძე

ვინ არის ქალი, რომელმაც ორი მამაკაცი სადისტურად მოკლა

დამნაშავის სკანდალური აღიარება და იდენტური მკვლელობების დეტალები

„ოქროს თაობა“ – ეს ტერმინი საქართველოში რუსეთიდან შემოვიდა. „ზოლოტაია მოლოდიოჟ“ – ასე მოიხსენიებდნენ მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოში მაღალჩინოსანთა შვილებს. მოზარდებს ჰქონდათ ყველაფერი, რაც კი მაშინ, საბჭოთა კავშირში, რიგითი ადამიანების შვილებს არ ჰქონდათ – დაწყებული ჯინსებიდან, დამთავრებული – აკრძალული ლიტერატურით. ამიტომ, მათთან მეგობრობას ბევრი ესწრაფვოდა და ბევრს სურდა, გაეგო ნამდვილი ცხოვრების გემო. აგარაკებზე ღრეობები, ორგიებში გადასული ქეიფი რუსული სინამდვილისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო, ქართულისთვის კი...

რა თქმა უნდა, ჩინოვნიკთა შვილებს არც აქ აკლდათ არაფერი, მაგრამ ამის აფიშირებას ერიდებოდნენ. საქართველო ძალიან პატარა ქვეყანა იყო იმისთვის, რომ სიმდიდრე ქუჩაში გამოეფინათ. მაშინვე, არაერთი მოქალაქე, სადაც ჯერ არს, იქ იჩივლებდა და საქმეში ძალოვნები ჩაერთვებოდნენ. ამის მიუხედავად, სამთავრობო აგარაკებზე ახალგაზრდების დროსტარება არცთუ იშვიათი იყო და რაც მთავარია, მათ სიმშვიდეს... სამართალდამცავები იცავდნენ, რათა ტერიტორიაზე უცხო ადამიანს არ შეეღწია.

„არ მქონდა გამოცდილება და ნელ-ნელა ვსწავლობდი, როცა საშინელი დანაშაული მოხდა. ერთ-ერთ სამთავრობო აგარაკზე, 22 წლის ბიჭი ნახეს გარდაცვლილი. მამამისი მინისტრის მოადგილის აპარატის ხელმძღვანელი იყო და ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა? 1977 წელი იდგა ანუ კომუნიზმის რენესანსის ეპოქა და მთელ მსოფლიოს ვუმტკიცებდით, რომ საბჭოთა კავშირში მძიმე დანაშაულები არ ხდებოდა, რეალურად კი... ადგილზე მისულებს, გარდაცვლილი ბიჭის მამა მოგვივარდა და კატეგორიულად მოგვთხოვა, აგარაკის ტერიტორია დაგვეტოვებინა. გაოცებული ვუყურებდით, რადგან იქვე, საძინებელში, მისი შვილი – 22 წლის ბიჭი იყო გარდაცვლილი, მაგრამ კაცი მასზე არ წუხდა, რაღაც აღუწერელი შიში ჰქონდა თვალებში. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარით და ბინის დათვალიერება განვაგრძეთ, ის კი ტელეფონს ეცა და მინისტრის მოადგილეს დაურეკა“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ცოტა ხანში, აგარაკზე უშიშროების თანამშრომლები გამოჩნდნენ და მშვიდად განაცხადეს, რომ საქმე მათ მიჰქონდათ. შსს-ს გამომძიებლებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, ან როგორ უნდა გაეწიათ, როცა მათ წინ, ძლევამოსილი „კა გე ბე“ იდგა, თუმცა უშიშროების მოსავლამდე მოასწრეს და საძინებელში მდგარი კარადის უჯრებში, ქალის უცხოური წარმოების თეთრეული ნახეს. ეს თეთრეული არ იყო დიდისთვის განკუთვნილი, აშკარად, ახალგაზრდა გოგონას ეკუთვნოდა და რაც მთავარია, მისი პატრონი საკმაოდ კარგი აგებულების უნდა ყოფილიყო. უშიშროების მოსვლამდე, ცხედრის დათვალიერება ექსპერტმაც მოასწრო და განაცხადა, რომ ბიჭს, რომელსაც მხოლოდ ტრუსი ეცვა, საზარდულის მიდამოებში, ჭრილობა შამპანურის გატეხილი ბოთლით მიაყენეს ანუ მკვლელმა ბოთლი ჯერ მარმარილოს მაგიდაზე მიაფშვნა, შემდეგ კი ხელში შერჩენილი ნამსხვრევით, საზარდულის მიდამოებში, ბიჭს, დაახლოებით, ოცჯერ დაარტყა. რაც მთავარია, გარეთ მდგომ დაცვის თანამშრომელს არ გაუგია ყვირილის ხმა და არ დაუნახავს, როგორ დატოვა აგარაკის ტერიტორია იმ გოგონამ, რომელიც გარდაცვლილმა მიიყვანა.

გოგონას აღწერას აზრი არ ჰქონდა, რადგან ტერიტორიის მცველმა ის, დაახლოებით, 40 მეტრიდან დაინახა და სახე არ გაურჩევია.

„ცხადი იყო, რომ გარდაცვლილის მამა უკვე საკუთარ თავზე ფიქრობდა. მან ზუსტად იცოდა, რომ სამართალდამცავები აგარაკზე მისთვის სასიკეთოს ვერაფერს იპოვიდნენ და ამიტომაც გაუშვა. საქმეს გრიფით „საიდუმლო“ დაედო, თუმცა შსს-მ ვერ მოითმინა და სანამ საქმიდან მთლიანად ჩამოაშორებდნენ, საინტერესო რამ მოიფიქრა.

„იმავე საღამოს, მინისტრისგან მივიღეთ ბრძანება, რომ რადაც უნდა დაგვჯდომოდა, გაგვერკვია, ვინ იყო მინისტრის მოადგილის აპარატის უფროსის საყვარელი და რაც მთავარია, გაგვერკვია, იყო თუ არა ეს საყვარელი მკვლელობის ჩამდენი. საამისოდ, აპარატის უფროსისთვის უნდა გვედევნა, მაგრამ ეს გამორიცხული იყო, მისი „ვოლგა“ დიდი სისწრაფით დადიოდა, წითელზე არ აჩერებდა და ასეთ დროს, ოპერატიული მანქანა ადვილად გაიშიფრებოდა. ამიტომ, იმავე ღამეს, როცა მისი პირადი მძღოლი შინ დაბრუნდა, სადარბაზოსთან, ორმა „ნასვამმა“ ახალგაზრდამ ჩხუბი დაიწყო, მძღოლი მისდაუნებურად გასაშველებლად ჩაერია, რომელსაც „შემთხვევით“, ფეხი მოსტეხეს. მეორე დღეს, აპარატის უფროსის მძღოლად შსს-ს თანამშრომელი დაჯდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ერთი კვირის განმავლობაში არაფერი მომხდარა. კაცი შვილის დასაფლავებით იყო დაკავებული და ახალ მძღოლს, როგორც ძაღლს, ისე ექცეოდა, თან სამსახურის გარდა, არსად დადიოდა. იმ დროისთვის, უშიშროებამ ოფიციალურად აიღო მართვის სადავეები ხელში და შსს გააფრთხილა, რომ ამ საქმეში არ ჩარეულიყო. ამის მიუხედავად, უკვე შეგზავნილი მძღოლის გამოწვევა არ გამოდიოდა და შსს იძულებული იყო, მძღოლის გამოჯანმრთელებას დალოდებოდა.

სანამ ნამდვილი მძღოლი ფეხზე დადგა, ერთ დღეს, აპარატის უფროსმა შსს-ს თანამშრომელს უთხრა, რომ სახლის ნაცვლად, პიონერთა სასახლესთან მიეყვანა. იქ გაჩერებულ მანქანაში, მოულოდნელად, ახალგაზრდა გოგონა ჩახტა, ლამის ბაბუის ტოლა კაცს ყელზე მოეხვია და კოცნა დაუწყო. „ხაზეინმა“ ბრძანება გასცა – აგარაკზე, თუმცა გოგონამ იუარა, იქ მეშინია, შენი ბიჭი რომ მოკლეს, იმის მერე ვერ მივალო, რამაც აპარატის უფროსი გააცოფა. საბოლოოდ, გეზი წყნეთისკენ აიღეს, მძღოლი მანქანიდან ნახევარი საათით გაუშვეს, შემდეგ კი თბილისში დაბრუნდნენ. გოგონა სახლთან მიიყვანეს, უფრო სწორად, საცხოვრებელი კორპუსიდან მოშორებით ჩამოსვეს, რათა არავის დაენახა, თუმცა გამოცდილმა ოპერმუშაკმა მაინც მოახერხა და სარკეში დალანდა, თუ რომელი კორპუსის ეზოში შევიდა გოგონა.

მეორე დღეს, სამართალდამცავებს საინტერესო ინფორმაცია ჰქონდათ. გოგონა იმ მინისტრის მოადგილის შვილი აღმოჩნდა, ვისთანაც აპარატის უფროსად ეს კაცი მუშაობდა. გამოდიოდა, რომ მან მოახერხა და თავისი უფროსის 17 წლის შვილი შეაცდინა, მეტიც, საყვარლადაც გაიხადა. რამდენად იყო შესაძლებელი, რომ მკვლელიც ეს გოგონა ყოფილიყო, მთავარი გასარკვევი ეს გახლდათ. აგარაკზე ნაპოვნი საცვლებიც, სწორედ ამ ბავშვის საკუთრება უნდა ყოფილიყო.

„ძალიან კარგად გვესმოდა, რომ მინისტრის მოადგილის შვილის დაკითხვა გაგვიჭირდებოდა და რაც მთავარია, ამის უფლებაც არ გვქონდა, რადგან საქმე უშიშროებას ჰქონდა წაღებული. აღარ ვიცოდით, რა გვექნა და სწორედ ამ დროს, უშიშროებიდან წერილი მოგვივიდა, სადაც გვატყობინებდნენ, რომ საქმე დაიხურა. ძიებამ დაადგინა, რომ ნერვული აშლილობის ნიადაგზე, ბიჭმა დაზიანებები თავად მიიყენა და, პრაქტიკულად, თვითმკვლელობა ჩაიდინა. ცხადი იყო, რეალობას ყველა მალავდა, მაგრამ ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა, ჩუმად უნდა ვყოფილიყაავით და ეს საქმე, უბრალოდ, დავივიწყეთ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მომხდარიდან 7 წელი გავიდა. რუსთავში, საკუთარ სახლში, 30 წლის ბიჭი იპოვეს გარდაცვლილი. მას... საზარდულის არეში, შამპანურის ბოთლის ნატეხით 20-ზე მეტი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. ისე მოხდა, რომ აღნიშნული საქმის გამოსაძიებლად მისულ ჯგუფში ერთ-ერთი ის ოპერმუშაკი ერია, რომელიც 7 წლით ადრე, სამთავრობო აგარაკზე მომხდარი მკვლელობის დროსაც შემთხვევის ადგილზე გახლდათ. რა თქმა უნდა, მან თქვა, რომ ეს საქმეები ერთმანეთს ძალიან ჰგავდა და მკვლელიც, შესაძლოა, ერთი და იგივე ყოფილიყო, თანაც მეზობლებმა დაადასტურეს, რომ ბიჭი შინ ახალგაზრდა გოგოსთან ერთად დაბრუნდა. ორი საქმის გაერთიანება არ გამოვიდოდა, რადგან პირველი დახურული იყო, თუმცა მეორეს სამართალდამცავები ბოლომდე მიჰყვნენ.

„მთავარი მოწმე ტაქსის მძღოლი აღმოჩნდა, რომელმაც თქვა, რომ იმ საღამოს, სადარბაზოდან ტყვიასავით გამოვარდნილი გოგო მანქანაში ჩაუხტა და საერთო საცხოვრებელში მიყვანა სთხოვა. ყველაფერი ეს მეზობელმა დაინახა და სამართალდამცავებს ტაქსის მოძებნა არ გასჭირვებიათ. ტაქსის მძღოლს ზუსტად ახსოვდა გოგოს აღწერილობა და ამიტომ, არ გასჭირვებია ეთქვა, კონკრეტულად რომელი იყო. ხელში ობოლი, ბავშვთა სახლში გაზრდილი გოგონა შეგვრჩა“, -იხსენებს ბატონი თენგიზი.

გოგონა დააპატიმრეს, ანაბეჭდები აუღეს და გარდაცვლილის სახლში აღებულ ანაბეჭდებს შეადარეს. ისინი ერთმანეთს დაემთხვა.

„ბავშვთა სახლში მას შემდეგ მოვხვდი, რაც მშობლები ავარიაში დაიღუპნენ, ნათესავებმა კი ჩემი წაყვანა არ ისურვეს. იქ, მოზარდობის ასაკში, ჩემი გაუპატიურება რამდენჯერმე სცადეს და ამიტომ, მუდმივად თავის დაცვა მიწევდა. როცა სრულწლოვანი გავხდი და დამოუკიდებლად ცხოვრება დავიწყე, ბიჭებს ეჭვის თვალით ვუყურებდი. ჯერ ის გამოჩნდა, ჩინოვნიკის შვილი, მიყვარხარო, მეფიცებოდა, აგარაკზე წასვლა რამდენჯერმე შემომთავაზა, თავს ვიკავებდი, ბოლოს, გულწრფელი მეჩვენა და წავყევი, თუმცა ოთახში შევედით თუ არა, გაიხადა და დამეტაკა. შამპანურის ბოთლი გადავამტვრიე და მერე აღარც მახსოვს, რა ვქენი. ფანჯრიდან გადავძვერი და გამოვიპარე. 7 წლის მანძილზე, ბიჭებს გამარჯობის თქმის უფლებასაც კი არ ვაძლევდი, მაგრამ ეს შემომიჩნდა, ვგიჟდები შენზეო და ბოლოს, სახლშიც დამპატიჟა, მშობლები უნდა გაგაცნოო. ავედი და მშობლები არ დამხვდნენ, ამანაც ოთახში შემაგდო და გახდა დამიწყო. ინსტიქტმა იმუშავა და იგივე გავიმეორე“, – დაახლოებით ასეთია გოგონას მონოლოგი.

იმის მიუხედავად, რომ ორი მკვლელობა აღიარა, უშიშროებამ კატეგორიულად მოითხოვა ძველი საქმე არ წამოეწიათ, რადგან უკვე გამოძიებული იყო. იმის სანაცვლოდ, რომ გოგოს არც სასამართლოზე ეთქვა რამე, მეორე მკვლელობაც აფექტში ჩაუთვალეს და მხოლოდ 6 წელი მისცეს, თუმცა 4 წლის შემდეგ, კარგი ყოფაქცევის გამო, გაათავისუფლეს.

შიდა ქართლის პოლიციამ გორში მომხდარ განზრახ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, ხუთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ხუთი პირი დააკავეს. სამი მათგანი, წარსულში, სხვადასხვა დანაშაულისთვის იყვნენ ნასამართლევნი.

2002 წელს დაბადებულ ზ.ფ.-ს, 2004 წელს დაბადებულ გ.ო.-ს, 2001 წელს დაბადებულ გ.ქ.-ს და 1993 წელს დაბადებულ გ.ბ.-ს, დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობა ედებათ ბრალად, რაც 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ხოლო 1997 წელს დაბადებული ვ.ო. პოლიციამ დააკავა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის, რაც 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს, ბრალდებულები, ქალაქ გორში მდებარე ერთ-ერთ მიწისქვეშა გადასასვლელში ალკოჰოლურ სასმელს სვამდნენ, მათ უცხო ქვეყნის მოქალაქე – 1993 წელს დაბადებულ ტ.კ.– ც შეუერთდა. ბრალდებულებმა მოგვიანებით, ტ.კ.-სთან ერთად, გორში მდებარე ერთ-ერთ ბარში გადაინაცვლეს და ალკოჰოლის მიღება განაგრძეს, რა დროსაც, ამჟამად ბრალდებულის სახით დაკავებულ პირებსა და ტ.კ.-ს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა. აღნიშნული დაპირისპირების შემდგომ, კონფლიქტში მონაწილე პირები გორში, მტკვრის მიმდებარე ტერიტორიაზე მივიდნენ, სადაც ზ.ფ.-მ გ.ო.-მ გ.ქ.-მ და გ.ბ.-მ, ტ.კ. -ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და უგონო მდგომარეობაში მყოფი ტ.კ., დანაშაულის დაფარვის მიზნით, მტკვარში გადააგდეს. ჩადენილი დანაშაულის შემდგომ ბრალდებულები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ დაკავებულების დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაციას ფლობდა ბრალდებულის სახით დაკავებული ვ.ო., თუმცა მან ამის შესახებ სამართალდამცველებს არ შეატყობინა.

ტ.კ.-ის ცხედარი მდინარე მტკვარმა მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის მიმდებარე ტერიტორიაზე გამორიყა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულში მონაწილე პირების ვინაობა დაადგინეს და ისინი ბრალდებულების სახით დააკავეს.

დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

კახეთის პოლიციამ სოფელ კაბალში მომხდარი აფეთქების ფაქტები გახსნა – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული რ.ა. და 1989 წელს დაბადებული გ.მ., აფეთქებისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაულები 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, მიმდინარე წლის 19 სექტემბერსა და 4 ოქტომბერს, წარსულში არსებული ფინანსური დავის ნიადაგზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალში მცხოვრები თანასოფლელების – მ.ნ.-ისა და ი.მ.-ის საცხოვრებელი სახლების ეზოებში ხელყუმბარები ააფეთქეს, რის შედეგადაც დაზიანდა აღნიშნული მოქალაქეების კუთვნილი ავტომანქანები.

პოლიციამ ორივე ბრალდებული, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ლაგოდეხში დააკავა.

საქმეზე გრძელდება შესაბამისი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები მომხდარ დანაშაულებში შესაძლო მონაწილე პირების დადგენისა და დაკავების მიზნით.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 229-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას და აფეთქებას გულისხმობს.

გურიის პოლიციამ ძალადობის ბრალდებით ლანჩხუთში ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ფ. ორი პირის მიმართ ჩადენილი ძალადობის ბრალდებით დააკავა.

დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს, ლანჩხუთში, თავის თანაკლასელს, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლანჩხუთის ორგანიზაციის აღმასრულებელ მდივანს – გ.ც.-სა და მის მეუღლეს – ი.ზ.-ს, მათსავე საცხოვრებელ სახლში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ორი პირის მიმართ ჩადენილ ძალადობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბათუმში საცხოვრებელი კორპუსის ნგრევის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის ნგრევის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში სამი პირი: პირველ სართულზე მდებარე ბინის მესაკუთრე, 1975 წელს დაბადებული ზ.ბ. , 1962 წელს დაბადებული ხ.ს. და 1992 წელს დაბადებულ გ.ს. დააკავეს.

დანაშაულები 2-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის პირველი სართულზე, ერთ-ერთი ბინის მფლობელმა ზ.ბ.-მ, ბინაში სარემონტო სამუშაოებისთვის ხ.ს. და გ.ს. დაიქირავა. ბინის მესაკუთრის მითითებითა და უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევით, საცხოვრებელ ბინაში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები განხორციელდა, რამაც მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს, საცხოვრებელი კორპუსის ერთი სადარბაზოს ჩამონგრევა გამოიწვია. სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას, უსაფრთხოების წესის დარღვევისა და სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურების ფაქტებზე, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და მძიმე შედეგი მოჰყვა, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 187-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

ნანგრევებიდან, ამ ეტაპზე, მეხანძრე-მაშველების მიერ ამოყვანილია ორი მოქალაქე, რომლებიც გადაყვანილნი არიან საავადმყოფოში, ასევე, ნანგრევებში ნანახი იქნა ხუთი ცხედარი. ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება, როგორც საძიებო-სამაშველო ღონისძიებები, ასევე, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

საქართველოსა და მონტენეგროს მთავრობებს შორის, უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ, შეთანხმება გაფორმდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე, საქართველოში მონტენეგროს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს (რეზიდენციით კიევი), დრაგიცა პონორაცს შეხვდა. მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას – „საქართველოს მთავრობასა და მონტენეგროს მთავრობას შორის, უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“. აღნიშნული შეთანხმება ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაძლიერებას უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიმართულებით.

შეხვედრის ფარგლებში, ალექსანდრე დარახველიძემ ხაზი გაუსვა ევროკავშირისა და შენგენის ზონის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის საკითხებში თანამშრომლობას, როგორც ევროკავშირის წევრ, ასევე, მესამე ქვეყნებთან, საქართველო უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს სახელმწიფოებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და სამომავლო ურთიერთობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე ისაუბრეს.

არაფერი განსაკუთრებული – ისევ წავაგეთ

2012 წლის 7 სექტემბერს, თბილსში, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ბელორუსი მინიმალური ანგარიშით – 1:0 დაამარცხა. ეს იყო ჩვენი გუნდის ბოლო გამარჯვება მსოფლიოს საკვალიფიკაციო ეტაპებზე და მას შემდეგ, მოგებას ვერ ვახერხებთ. როცა ჩვენი გუნდის თავკაცად ვილი სანიოლი დაინიშნა, ახალი იმედი ჩაგვესახა, მაგრამ აგერ, ჩვენმა გუნდმა მეექვსე ოფიციალური მატჩი ჩაატარა მისი ხელმძღვანელობით და 1 ფრე, 5 წაგება და 0 მოგება გვაქვს. ბურთების შეფარდება 2:11-თან არის, რაც იმას ნიშნავს, რომ 3 მატჩში, საშუალოდ ერთი გოლი გაგვაქვს. ისე, ორივე გოლი ამ შესარჩევში ხვიჩა კვარაცხელიას ანგარიშზეა, მაგრამ...

9 ოქტომბერს, ჩვენმა ნაკრებმა, საკუთარ მოედანზე, საბერძნეთთან წააგო. წააგო მარტივად, ულაპარაკოდ, სამართლიანად და მატჩის შემდგომ, დაგვრჩა განცდა, რომ ბიჭებმა, უკვე მერამდენედ, მოედანზე ყველაფერი არ დადეს, არ იბრძოლეს, არ მოინდომეს. როგორც ჩანს, ეს განცდა მხოლოდ ჩვენ არ გვქონდა, პრესკონფერენციაზე, სანიოლმაც იგივე თქვა, რაღაც დაგვაკლდა და ეს რაღაც, პირველ რიგში, მონდომება და თავდადებაა. ისე ჩანს, ფეხბურთელები ბოლომდე ვერ იაზრებენ, რომ საქართველოს სახელს იცავენ, რომ საქართველოს სახე არიან და ფეხბურთის თამაში ყველასთან ტოლ-სწორად რომ შეიძლება, იმავე 9 ოქტომბერს, ლიტვამ დაამტკიცა, როცა შინ, ბულგარეთს 3:1 მოუგო.

ერთ მაგალითს გეტყვით და ამით მოვრჩეთ. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გასულ ხორვატიის ნააკრებს, საფრანგეთში წასვლის პრობლემა იმ მიზეზით შეექმნა, რომ ფედერაციას, უბრალოდ, ფული არ ჰქონდა. იუგოსლავიის ომი ახალი დასრულებული იყო, ხორვატია დამოუკიდებლად პირველ ნაბიჯებს დგამდა... ფეხბურთელები საფრანგეთში საკუთარი ხარჯით წავიდნენ და თქვეს, რომ ისინი ხორვატიის ამაყი შვილები იყვნენ და სამშობლოს ღირსებას დაიცავდნენ. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ხორვატებმა მესამე ადგილი დაიკავეს, ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაში ჰოლანდია დაამარცხეს, მანამდე კი, გზიდან გერმანია ჩამოიცილეს. ის თაობა გმირად ჰყავს შერაცხული ხორვატიის მოსახლეობას და... თქვენ არ გინდათ, ბიჭებო, გმირები გახდეთ?! ფეხბურთის თამაშით დაირქვათ გმირის სახელი?!

„ბორჯღალოსნებმა“ ევროპა რუსეთში დაიპყრეს

18-წლამდელ მორაგბეთა შორის, ევროპის ჩემპიონატს რუსეთმა უმასპინძლა. საქართველოს ნაკრები მოქმედი ჩემპიონის რანგში იყო ჩასული, მაგრამ დაგვეთანხმებით, რომ ამ ასაკში ფავორიტის სტატუსის შენარჩუნება ძნელია, რადგან ყოველწლიურად, თაობათა ცვლა მიმდინარეობს და ყოველწლიურად, ახალი გუნდი კეთდება.

ქართველი „ბორჯღალოსნები“ ფინალამდე უპრობლემოდ მივიდნენ, ნახევარფინალში, ბელგია 37:3 დაამარცხეს, მანამდე, მეოთხედფინალში, ჩეხეთი 76:0 გაანადგურეს და ფინალში პორტუგალიას დაუპირისპირდნენ. გადამწყვეტი შეხვედრა კალინინგრადში შედგა. პირველი ტაიმის შემდეგ, ტაბლოზე 22:0 ენთო ჩვენი ბიჭების სასარგებლოდ და გამარჯვებულის ბედი გარკვეული იყო, თუმცა მათ მაინც მოინდომეს, მეორე ნახევარში კიდევ ერთი ლელო დადეს და საბოლოო ჯამში, 27:0 მოიგეს. რაც მთავარია, „ბორჯღალოსნებმა“ ევროპის ჩემპიონატი ისე დაასრულეს, რომ ლელო არ გაუშვიათ.

გასოლის ბოლო გასროლა – პო კალათბურთიდან წავიდა

ესპანური კალათბურთისა და ზოგადად, მსოფლიო ლეგენდა პაუ გასოლი კალათბურთს აღარ ითამაშებს. ამის შესახებ, 41 წლის ვეტერანმა სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა და... ატირდა.

„პირველ რიგში, მინდა გამოვყო ჩემი თანაგუნდელი, კობი ბრაიანტი, რომელიც ძალიან მინდა რომ აქ იყოს, მაგრამ... ცხოვრება ასეთია და რიგ შემთხვევებში, ძალიან უსამართლო. ჩვენ ძალიან გვენატრება ორივე – კობი და მისი ქალიშვილი ჯიჯი. კობიმ მასწავლა, თუ როგორ უნდა ვყოფილიყავი უკეთესი ლიდერი და უკეთესი მოთამაშე და ისიც, თუ რას ნიშნავს, იყო ნამდვილი გამარჯვებული. ის მუდამ უფროს ძმად მიმაჩნდა. მადლობა, კობი“, – განაცხადა გასოლიმ.

ლეგენდარულმა ესპანელმა კარიერა „ბარსელონაში“ დაიწყო, შემდეგ კი ამერიკაში გადაბარგდა, სადაც „მემფისის“ (2001-2008), „ლეიკერსის“ (2008-2014), „ჩიკაგოს“ (2014-2016); „სან ანტონიოს“ (2016-2019) და „მილუოკის“ (2019) ღირსებას იცავდა. „ლეიკერსის“ რიგებში, მან NBA-ს საჩემპიონო ბეჭედი ორჯერ მოიგო და ყველა ვარსკვლავის მატჩშიც ექვსჯერ ითამაშა.

ქართული სულის ყივილი იტალიაში – ემიგრანტ დედას შვილმა ჩააკითხა

იტალიის ქალაქ ოლიბიაში, ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა. ახალგაზრდულ ტურნირზე, საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი იმედიანად იყო წასული, თუმცა ნააკრების ერთ-ერთი წევრი, საბა ინანეიშვილი განსაკუთრებით ნერვიულობდა. საქმე ის გახლავთ, რომ საბას დედა ემიგრანტია, 5 წელია იტალიაში ცხოვრობს და ამ ხნის მანძილზე, შვილი არ ენახა. რა თქმა უნდა, დედა ტრიბუნაზე იჯდა და შვილის გამოსვლას იქიდან ადევნებდა თვალს.

„მე მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალს მოვიგებ, დედასთვის მოვიგებ“, – თქვა საბამ ტურნირის წინ და ამ ფაქტს იქაურმა მედიამაც დიდი ყურადღება დაუთმო. ბოლო დღეს, ინანეიშვილი +100 კილოგრამში ჭიდაობდა, მანამდე კი...

მანამდე უმსუბუქეს, -60 კილოგრამში, გიორგი სარდალაშვილმა დამაჯერებლად იჭიდავა და იტალიელებს საქართველოს ჰიმნი პირველივე დღეს მოასმენინა. გიორგის ოქროს მედალს კიდევ ერთმა გიორგიმ, ოლონდ შერაზადიშვილმა (-81 კგ.) აუბა მხარი და ქართულ ყულაბაში მეორე ოქრო ჩააჩხრიალა. ამის შემდეგ, -100 კგ.-ში, ილია სულამანიძის ჯერი დადგა და მანაც დამაჯერებლად მოიგო – მესამე ოქრო შესძინა ქართულ დელეგაციას. დადგა ტურნირის ბოლო დღე, ყველაზე ემოციური დღე საქართველოს ნაკრებისთვის – ტატამზე საბა ინანეიშვილი გავიდა, ტრიბუნაზე კი 5 წლის უნახავი ემიგრანტი დედა უკრავდა ტაშს. საბა პირველ წრეში თავისუფალი იყო, მეორე წრიდან მოყოლებული კი, უკრაინელი სერგეი კოვბასიუკი, ბელგიელი ივ ნდაო, უზბეკი შოხრუხ მამარასულოვი, ერთი-მეორეს მიყოლებით დაამარცხა, ხოლო ფინალში, უნგრელ რიჩარდ შიპოჩს დაეჭიდა. შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა და დამატებით დროში, ინანეიშვილმა ვაზარით იმარჯვა.

„ჩემი შვილის კარიერას დიდი ყურადღებით ვაკვირდები. ყოველთვის, როდესაც ტურნირს იგებს, მირეკავს და მეუბნება, რომ ეს გამარჯვება მე მეძღვნება. დისტანციის გამო, სიყვარული ყოველთვის მტკივნეული და რთულია, მაგრამ ცხოვრება მძიმეა და როცა რესურსი არ გაქვს, დედამ თავი უნდა გასწიროს, რადგანაც შვილზე უკეთესი არაფერია“, – ეს სიტყვები ქალბატონმა გვანცა ჭანტურიძემ იტალიურ მედიას უთხრა.

„ნიუკასლი“ 305 მილიონად გაიყიდა



ინგლისური „ნიუკასლი“ 305 მილიონ ფუნტად გაიყიდა და ამ ამბავმა გულშემატკივრები ძალიან გაახარა. ისინი ფიქრობდნენ, რომ კლუბის ბრიტანელი მფლობელი, მაიკლ ეშლი ვერაფერს აკეთებდა და 14 წლის განმავლობაში, გუნდი უბრალოდ გააპარტახა. ახალი მფლობელი შეიხი მუჰამედ ბინ სალმანია, კაცი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრესად და... უსასტიკესად ითვლება. სალმანის ქონება ოფიციალურად 320 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ჰო, 302 მილიარდი! მარტივად აგიხსნით – მხოლოდ საფრანგეთში, მას 350 მილიონად შეფასებული სახლი, 450 მილიონად შეფასებული იახტა და ამ იახტაზე... ლეონარდო დავინჩის ნახატი აქვს, რომელიც აუქციონზე, 389 მილიონაად შეიძინა ანუ მხოლოდ იახტის ფასი აღწევს მილიარდს.

როგორც ვარაუდობენ, სალმანი გუნდში ძალიან ბევრ ფულს ჩადებს და „ნიუკასლს“ წარმატებულსაც გახდის, თუმცა უფლებადამცველები უკვე საუბრობენ იმაზე, რომ ინგლისური კლუბი ერთ-ერთმა ყველაზე სკანდალურმა პერსონამ შეიძინა. სწორედ სალმანის სახელს უკავშირდება ჟურნალისტ ჯამალ ჰაშოგის მკვლელობა. აშშ-ის დაზვერვის ანგარიში მას სასტიკ მკვლელობაში სდებს ბრალს. დაშიფრული ანგარიში ჯო ბაიდენის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, სალმანის ბრძანებით დამტკიცდა გეგმა, რომელიც ჰაშოგის დაკავებას ან ლიკვიდაციას ითვალისწინებდა. 59 წლის ჟურნალისტი, საუდის არაბეთის საკონსულოში, ქორწინების საბუთების გასაფორმებლად მივიდა, რის შემდეგაც არავის უნახავს. სალმანის გარემოცვა ავრცელებდა ინფორმაციას, რომლის თანახმადაც ჰაშოგი ნარკოტიკული ნივთიერების ზედოზირებით გარდაიცვალა, თუმცა გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ის საკონსულოში სასტიკად მოკლეს. საუბარია ცოცხლად დანაწევრებაზე... ამის მიუხედავად, სალმანი თავის ქვეყანაში, თავდაცვის მინისტრის პოსტს, აგერ, უკვე ექვსი წელია იკავებს და ახლა დიდ ფეხბურთშიც ჩაება.

შურისძიება

ვანო პავლიაშვილი

... იმ ღამეს მამა ისევ ნასვამი მოვიდა, თან ფაშფაშა ქალი მოიყოლა, – ეს შენი ახალი დედაო, – ქეჩოში ხელი წამოარტყა გეგას და საწოლზე მოწყვეტით დაეშვა. ფაშფაშა ქალმა ოთახს მზერა მოავლო, მაგიდასთან მდგარ ძველ სკამზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა...

– შენს ახალ დედას გულო ჰქვია, გაიგე, ბიჭო? – წაიბურდღუნა მამამ და ხვრინვა ამოუშვა...

გეგამ „ახალ დედას“ ჯიქურ შეხედა. გულომ ბავშვის მზერას ვერ გაუძლო და თავი დახარა... ბიჭს თვალში გულოს დაკოჟრილი ხელები მოხვდა და ძალაუნებურად დედა გაახსენდა. ხუთ თვეზე მეტია, არ უნახავს. დედამ რამდენჯერმე დაურეკა, მაგრამ არ დაელაპარაკა. უფრო სწორად, მკვახედ განუცხადა, შენი მოკითხვა არ მჭირდებაო და ტელეფონი გათიშა. გეგა ახლაღა მიხვდა, რომ დედა ენატრებოდა...

– ნეტავ, რა დამიშავა დედაჩემმა? – ფიქრობდა ათი წლის ბიჭი და გულოს დაკოჟრილ ხელებს თვალს არ აცილებდა, – ყველა სურვილს მისრულებდა, „სონი 2“-იც მიყიდა, მაგრამ რა ვქნა, ეს სწავლა და სკოლა არ მიყვარს. ჰოდა, სახლიდან ამიტომაც გამოვიქეცი, თან მამაჩემი მარტო რომ იყო, მეცოდებოდა...

... გულომ იატაკზე დაგდებული სიგარეტი ტლანქი ფეხით გასრისა და ბიჭს მოურიდებლად ჰკითხა:

– ჩემი ბიჭი, მეფსია, ტუალეტი სად არის?

გეგამ ხელი ზურგს უკან გაიშვირა.

– შენ, რა, ენა გადაყლაპე? – გადაიხარხარა გულომ და კარისკენ წავიდა...

გეგა ისევ წარსულში დაბრუნდა...

მზიას და გურამს ერთმანეთი არასოდეს ჰყვარებიათ. უბრალოდ, ხორციელმა ტკბობამ გაიტაცათ. ამასობაში, ვიღაცამ მზიას მშობლებს ამბავი მიუტანა, ასე და ასეა საქმე, თქვენი ქალიშვილი თავისზე რამდენიმე წლით უფროს კაცთან კოტრიალობს და მიხედეთ, ვიდრე თავს მოგჭრითო... მოკლედ, ყველაფერი ბანალურად დამთავრდა – მზიამ და გურამმა ოჯახი შექმნეს... და ოთხი თვის თავზე გეგაც დაიბადა. წელიწადნახევრის მერე, მზიასა და გურამს კიდევ ერთი შვილი შეეძინათ. გოგონას ანანო დაარქვეს...

იმ წელს, მამა სახლიდან რომ წავიდა, გეგა პირველ კლასში სწავლობდა. ნაქირავებში ცხოვრებას, მზიამ მშობლებთან გადასვლა ამჯობინა... გეგას ბებია არც ადრე უყვარდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კუდში დევნა დაუწყო და გაუთავებლად სწავლაზე ელაპარაკებოდა, ბავშვმა ქალზე გული სამუდამოდ აიყარა. ამას ისიც დაემატა, რომ პერიოდულად გამოჩენილი მამა გეგას „არიგებდა“, სწავლა რა კაცის საქმეა, თუ გინდა, მაგარი ბიჭი იყო და ქალები შენზე ჭკუას კარგავდნენ, არყისა და ნივრის სუნი უნდა გდიოდესო...

მოკლედ, მამის „ფილოსოფიამ“ თავისი ქნა და ერთხელაც, როცა ბებიამ ეზოში სათამაშოდ არ გაუშვა, გაკვეთილები არ გისწავლიაო, გეგამ დაიფიცა, ამ დაწყევლილ სახლს სამუდამოდ მოვშორდებიო და შინიდან გაქცევის გეგმა დააწყო. პირველი, რაც გააკეთა, სამსახურიდან დაბრუნებული დედის ხელჩანთა ამოაქოთა. მზია ერთ იაფფასიან რესტორანში თეფშების მრეცხავად მუშაობდა, დღეში 10 ლარს უხდიდნენ... გეგამ სამი ლარი და ორი ოცთეთრიანი იპოვა. ნადავლი ჯიბეში ჩაიჩურთა და გათენებას დაელოდა...

– საბოლოოდ დავაღწიე თავი ჯოჯოხეთს, – ხმამაღლა ჩაილაპარაკა გეგამ და სამარშრუტო ტაქსის მძღოლთან „საქმის ჩასაწყობად“ მოემზადა:

– ძია, სამი ლარი მაქვს და ხაშურამდე გამოგყვები, რა...

– არა! – მოკლედ მოუჭრა მძღოლმა, მაგრამ ბიჭი არ მოეშვა, ხან რა უთხრა და ხან – რა. ბოლოს, ისეთი ტყუილი მოიგონა, ლამის, თვითონაც დაიჯერა – მამაჩემი სიკვდილის პირასაა, თბილისში წამლებზე გამომაგზავნეს და სამი ლარის მეტი აღარ დამრჩაო.

მოკლედ, ტყუილმა გაჭრა... გეგა „მარშრუტკის“ უკანა სავარძელზე მიიყუჟა და ხაშურამდე არ განძრეულა...

ვერ ვიტყვით, რომ გურამს შვილის დანახვა არ გაუხარდა, მაგრამ გაუელვა, თავი ძლივს გამაქვს და ახლა, ამის საჭმელი საიდანღა მოვიტანოო...

ასე იყო თუ ისე, მამა-შვილმა, როგორც გურამი იტყოდა, კაცური ცხოვრება დაიწყეს – მამას შუადღემდე ეძინა. მერე, სოფლის „ბირჟაზე“ გავიდოდა, ან იქვე დაიწყებდნენ დალევას, ან – რომელიმე მეზობელი პურ-მარილს „იკისრებდა“ და გურამის სახლში „შეუბერავდნენ“.

საერთოდ, გურამის სახლი სოფლის უსაქმურების თავშეყრის ადგილი იყო – ზოგი „კარტს“ თამაშობდა, ზოგი – სვამდა. ერთი-ორჯერ, ბიჭებმა სოფლის მსუბუქი ყოფაქცევის ქალებიც მოიყვანეს, მაგრამ გურამმა ძმაკაცებს ყასიდად უსაყვედურა, გეგასი მაინც მოგერიდოთო...

გეგას ახალი ცხოვრება მოსწონდა – თავს კაცად გრძნობდა, თავი განსაკუთრებით ამაყად მაშინ ეჭირა, როცა მამას ან მის ძმაკაცებს „ასტრას“ მოპარავდა და ტუალეტში აბოლებდა...

შვილის გაქცევა მზიასთვის სიკვდილის ტოლფასი იყო. მეორე დღესვე ჩავიდა ხაშურში, ბევრი ეხვეწა, ათას რამეს დაპირდა, ბოლოს, ისიც კი უთხრა, ოღონდ თბილისში გამომყევი და სწავლასა და სკოლას საერთოდ არ გიხსენებო, მაგრამ გეგამ დედის თხოვნა-ვედრებას ყური არ ათხოვა... რაღას იზამდა მზია, თბილისში გულმოკლული დაბრუნდა და გეგას მონატრებას ანანოსთან ურთიერთობით იკლავდა...

... მზია მამაკაცების ყურადღებას არასოდეს უჩიოდა, მაგრამ შვილის გაქცევით გამოწვეულმა დარდმა ქალი თითქოს უფრო ეშხიანი გახდა. ყოველ შემთხვევაში, ოთარს ასე მოეჩვენა და მოსვენება დაუკარგა, რაღაც გაწუხებს და დაგეხმარებიო. მზიამ თანაგრძნობისთვის მადლობა გადაუხადა და შეეცადა, ოთარს მორიდებოდა, მაგრამ დღემდე არ იცის, იაფფასიანი რესტორნის თანამფლობელის საწოლში როგორ აღმოჩნდა...

ოთარი ქალს სიყვარულს ეფიცებოდა და ჰპირდებოდა, მალე ცოლს გავშორდები და ხელს მოვაწერთო, მაგრამ... ერთხელ, მზიას ოთარის ძმაკაცმა დაურეკა, ოთარი ღამის კლუბშია და მთხოვა, წაგიყვანოო.

– რა პრობლემაა, ათ წუთში მზად ვიქნები და გამომიარეო, – მიუგო მზიამ საყვარლის ძმაკაცს...

ოთარის მეგობარმა გეზი კოჯრისკენ აიღო.

– სად მივდივართ? – იკითხა დამფრთხალმა მზიამ.

– ნახავ, – ვნებიანად გადაიხარხარა კაცმა. მერე, ბანჯგვლიანი ტორი მზიას მუხლზე დაადო, კაბა აუწია და დამარცვლით წარმოსთქვა, – ოთარს მო-ბე-ზრდი და შენი თა-ვი მე მა-ჩუ-ქა!

მზიას გონება დაებინდა...

ოთარის ძმაკაცს სხვა კაცი მოჰყვა, იმ სხვას – კიდევ სხვა და ასე იქცა ერთ დროს შვილების კეთილდღეობაზე მზრუნველი დედა იაფფასიანი რესტორნის უინტელექტო კლიენტების იაფფასიან ქალად...

– გეგა ასე რომ არ მომქცეოდა, ამ ჭაობში არ აღმოვჩნდებოდი, მაგრამ ახლა ყველაფერი სულ ერთიაო, – თავს იმართლებდა მზია და ცდილობდა, მისი ცხოვრების შესახებ ანანოს არაფერი გაეგო...

... გულოს როხროხმა ბიჭი აწმყოში დააბრუნა. ფაშფაშა, დაკოჟრილხელებიანი „ახალი დედა“ ოთახში სიმღერ-სიმღერით შემოვიდა:

– მოდი, გავაკეთოთ რამეეე, მოდიიიიი აიწიეეე კაბაააა...

გულო საწოლზე პირქვედამხობილ გურამს მიუახლოვდა და ყურში ჩასძახა:

– მე კი ავიწევ კაბას, მარა შენ რისი თავი გაქვს? ისე, პატარა ბიჭები უფრო მიყვარს, მარა შენი ლეკვი ძაან პატარა ჩანს, ალბათ, არც კი იცის, ქალს რა უნდა უყოს...

– ვიცი! – დინჯად ჩაილაპარაკა გეგამ, – მაგრამ, შენისთანა ძროხებს ვერ ვიტან!

გულოს ღიმილი პირზე შეეყინა...

გეგა ეზოში გავიდა... ერთხანობას ბოლთას სცემდა. მერე, გამხმარი ვაშლის ხის ძირას ჩამოჯდა. ერთი სული ჰქონდა, მალე გათენებულიყო...

– დე, ღმერთს გეფიცები, აღარასოდეს გაგაბრაზებ! – გაიფიქრა ბურანში წასულმა ბიჭმა...

– ძია, ფული არ მაქვს, თბილისამდე ფეხზე ვიდგები, ოღონდ, წამიყვანე, რა?! – სლუკუნით სთხოვა გეგამ სამარშრუტო ტაქსის მძღოლს.

– თბილისში რა გინდა? – სასხვათაშორისოდ ჰკითხა მძღოლმა.

– იქ მამაჩემი მშენებლობაზე მუშაობდა...

– მერე?

– ჰოდა, წუხელ დედაჩემს ვიღაცამ დაურეკა და უთხრა, რომ მამაჩემი მოკვდა, – უფრო ძალიან ასლუკუნდა გეგა.

– რას ამბობ, ბიჭო, რამ მოკლა?

– მოკვდა და „ვსიო“... წამიყვანე, რა, ძია, გთხოვ, წამიყვანე... ფეხზე დავდგები, არავის შევაწუხებ...

... გეგა რომ დაინახა, მზიამ თვალები მაგრად დახუჭა, ალბათ, მომეჩვენაო, მაგრამ ბიჭი დიდი ხნის უნახავ დედას ყელზე ჩამოეკიდა:

– დე... მომენატრე, დე... აუ, დე, იცი, როგორ მიყვარხარ?! დე, ხო შენც გიყვარვარ?!

მზია ხმას ვერ იღებდა და გეგას გულში იკრავდა...

... ტელეფონმა დარეკა...

– გეგა, „მესიჯი“ მომივიდა, „მობილი“ მომიტანე, რა, – გამოსძახა სამზარეულოდან მზიამ ვაჟიშვილს.

– მომაქვს, – სამზარეულოსკენ მიმავალმა გეგამ „მესიჯის“ კითხვა დაიწყო:

„მაგრა მესექსავება... მანქანაში ორალზე რას იტყვი?.. მომწერე, სად მოგაკითხო“...

– მოვკლავ! – გაფიქრა ბიჭმა...

... გეგას სკოლიდან მოსვლა დააგვიანდა. ბებიამ ძებნა დაუწყო, მაგრამ ბიჭის ასავალ-დასავალი არც თანაკლასელებმა იცოდნენ და არც – მასწავლებლებმა.

– ისევ ბედოვლათ მამამისთან გაიქცეოდა, – თავი დაიმშვიდა მზიამ...

... მზიას უცნობმა ქალბატონმა დაურეკა, თავი ნატა დუმბაძედ გააცნო და განუცხადა:

– მე დეტექტივ-გამომძიებელი ვარ...

– იყავი, მერე, მე რა? – გადაიკისკისა მზიამ, – რომელი სახელმწიფო დამნაშავე ვარ, რომ ჩემი პიროვნებით დაინტერესდით?

– მე თქვენი შვილის საქმეს ვიძიებ!

– ჩემი შვილი ჯერ არასრულწოვანია, ქალბატონო!

– ვიცი... გეგამ დანა მოიპარა და ამბობს, რომ თქვენს მოკვლას აპირებდა!

– ჩემს მოკვლას? – გაოცებისგან ენა ჩაუვარდა მზიას...

– დიახ... ბავშვს ასეთი რა დაუშავეთ, რომ შურისძიება გადაწყვიტა?! – ორაზროვნად იკითხა დეტექტივ-გამომძიებელმა და ტელეფონი ისე გათიშა, მზიას პასუხს არც დალოდებია...

დაბერების პროცესის სიჩქარე გამოთვალეს

სპეციალისტებმა დიდი ბრიტანეთიდან, ისეთი მოწყობილობა შექმნეს, რომელიც ადამიანის დარჩენილი ცხოვრების დროს განსაზღვრავს. გარეგნულად, ის მაჯის საათს მოგაგონებთ, ხოლო გამოგონება ლაზერულ ტექნოლოგიებს ეფუძნება. ამ შემთხვევაში, კანის ზედაპირის საშუალებით, ადამიანის ორგანიზმის ენდოთელიალური უჯრედების მდგომარეობის მონიტორინგს ახორციელებენ. ამ ტიპის უჯრედები სისხლძარღვთა სისტემის ფორმირებაში მონაწილეობენ. მოწყობილობა საშუალებას იძლევა, ამ უჯრედების ნაკადი შეცვალოს და მიღებული მონაცემების ანალიზით, ადამიანის დაბერების პროცესის სიჩქარე გამოთვალოს. მიღებული მაჩვენებლები კი 100-ქულიანი შკალის მიხედვით ფასდება. 100 ქულით ფასდება ახალგაზრდა, ნორმალურად ფუნქციონირებადი ორგანიზმი, რომელსაც სამედიცინო ჩარევა არ სჭირდება. სპეციალისტები ნისლიანი ალბიონიდან აღნიშნავენ, რომ დაახლოებით, სამ წელიწადში, პრაქტიკული მიზნით, ამ მოწყობილობას სამედიცინო დაწესებულებებში გამოიყენებენ.

კორონავირუსი სმენას აქვეითებს?

45 წლის მამაკაცმა, რომელიც ნისლიანი ალბიონის მკვიდრია, კორონავირუსის გადატანის შემდეგ, სმენა ნაწილობრივ დაკარგა. ბრიტანელი მედიკოსების განცხადებით, ეს პირველი შემთხვევაა, რასაც კორონავირუსს უკავშირებენ. პაციენტს, რომელსაც ასთმა აქვს, ვირუსის დიაგნოზი ლონდონის ერთ-ერთ ჰოსპიტალში დაუსვეს და გართულებული სუნთქვის გამო, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მკურნალობდნენ. ის ხელოვნური სუნთქვის აპარატზე 30 დღე იყო მიერთებული, იღებდა სხვადასხვა პრეპარატს და სისხლის გადასხმაც დასჭირდა. როცა მამაკაცის მდგომარეობა გაუმჯობესდა, ის კლინიკიდან გაწერეს. ერთი კვირის შემდეგ, მას სმენა გაუუარესდა, ცოტა ხანში კი მარცხენა ყურში საერთოდ დაკარგა სმენა. ექიმების თქმით, ამის გამომწვევი მიზეზი, შესაძლოა, სასმენი ნერვის ან შუა ყურის დაზიანება იყოს, რაც კორონავირუსმა განაპირობა. პაციენტს უმკურნალეს, თუმცა სმენის სრულად აღდგენა, დიდი ალბათობით, შეუძლებელი იქნება.

მილიონებად შეაფასებული მორი „დაიჭირა“



ჩინელმა მეთევზემ ხის უზარმაზარი ნაჭერი ამოიღო წყლიდან, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, მილიონობით დოლარი ღირს. მამაკაცი მეტად გუნებაწამხდარი იყო ამ უჩვეულო „ნადავლის“ გამო, მაგრამ უცებ ძლიერი სუნი იგრძნო. როდესაც ხის მორს ქერქიდან პატარა ფენა აათალა, მაშინვე მიხვდა, რომ არწივის ხის უზარმაზარი მორის პატრონი იყო. ის ალოეს ხის სახელითაცაა ცნობილი და მედიცინასა და პარფიუმერიაში იყენებენ. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ხის უშველებელი ნაჭერი – სამმეტრიანი დიამეტრით, ნამდვილად არწივის ხე იყო და ის 1 მილიარდი ჰონკონგური დოლარი (128 მილიონი აშშ დოლარი) ღირს. მეთევზე აპირებს, გაყიდოს ეს იღბლიანი „ნადავლი“ და მიღებული თანხის ნაწილი ქველმოქმედებას მოახმაროს.

თხევადი კვერცხი შექმნეს

კვერცხი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხშირად მოხმარებადი პროდუქტია მთელ მსოფლიოში – ერთ სულ მოსახლეზე, საშუალოდ, წელიწადში 145 კვერცხი მოდის. ვეგეტარიანული კვების გავრცელებასა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, სპეციალისტები ცდილობენ, კვერცხის მცენარეული ალტერნატივა შექმნან. ერთ-ერთი ბოლო, ასეთი სიახლეა პროდუქტი, რომელიც ინდურმა სტარტაპმა – EVO Foods, შექმნა. „წინამორბედებისგან“ განსხვავებით, ეს კვერცხი აბსოლუტურად თხევადია, მისი ტექსტურაც გაცილებით რბილია, ვიდრე ჩვეულებრივი კვერცხისა. ის პარკოსანი მცენარეებისგან მიიღეს და ასეთი კვერცხი მაცივარში ნახევარი წელი ინახება. სპეციალისტების თქმით, მცენარეული კვერცხი არ შეიცავს ქოლესტერინს, ანტიბიოტიკებს და ნაკლები ცხიმითა და კალორიებით გამოირჩევა. პროექტმა უკვე მიიზიდა ამერიკული ინვესტიცია და მომავალი წლიდან, მცენარეული თხევადი კვერცხი უკვე აშშ-ს მაღაზიებშიც გამოჩნდება.

ლატარეაში 700 მილიონი მოიგო

აშშ-ს მცხოვრებმა, ლატარეა Powerball-ში, 699.8 მილიონი დოლარი მოიგო. ეს სიდიდით მეშვიდე ჯეკპოტია აშშ-ში, გათამაშებების ისტორიაში. ასეთი მნიშვნელოვანი თანხა იმის წყალობით მოგროვდა, რომ 40 გათამაშების განმავლობაშიმ „ბედნიერი ბილეთის“ შეძენა ვერავინ შეძლო და თავისთავად, ესეც ახალი რეკორდია. Associated Press-ის ცნობით, მომგებიანი ბილეთი კალიფორნიაში, ქალაქ მორო-ბეის სასურსათო მაღაზიაში შეიძინეს. გამარჯვებულის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. არ არის გამორიცხული, მან ჯერ არც კი იცოდეს, რომ ერთი ბილეთის წყალობით, უმდიდრესი ადამიანი გახდა. არსებული წესების მიხედვით, თუ ბედნიერი ბილეთის მფლობელი თანხის ერთდროულად აღებას მოისურვებს, მას 496 მილიონი დოლარი შეხვდება, მთლიან თანხას კი, ნაწილ-ნაწილ – 29 წლის განმავლობაში მიიღებს.

პარკში უზარმაზარი ბრილიანტი იპოვეს

ამერიკელმა წყვილმა ჩრდილოეთ კალიფორნიიდან, პარკში უზარმაზარი ბრილიანტი იპოვა – მსხლის ფორმის ყვითელი, ძვირფასი ქვა, რომლის წონაც 4.38 კარატია. ის მერფრისბოროში, „ალმასების კრატერად“ წოდებულ ადგილზე აღმოაჩინეს. ჯერჯერობით, ბრილიანტის ღირებულება არ დაუდგენიათ. წელს ნაპოვნი ძვირფასი ქვებიდან, ეს ყველაზე დიდია. მთლიანობაში, „ალმასების კრატერში“, 1906 წლიდან დღემდე, 75 ათასზე მეტი ბრილიანტი იპოვეს. მათგან უდიდესი 1924 წელს აღმოაჩინეს – ეს „ბიძია სემად“ წოდებული ბრილიანტია, რომლის წონაც 40.2 კარატია.

საფოსტო მარკა ტუალეტის ქაღალდზე

ავსტრიის საფოსტო სამსახურმა სპეციალური „კორონავირუსული“ მარკა ტუალეტის ქაღალდზე დაბეჭდა. მასზე სპლიყვის გამოსახულებაა, რომელიც სოციალური დისტანციის წესებს გრაფიკულად ხსნის. შაფოსტო მარკის ღირებულება 5.50 ევროა. ტუალეტის ქაღალდზე დაბეჭდილი მარკა ხელში აღებისთანავე რომ არ დაზიანდეს, ცალი მხრიდან ლამინირებულია. ასეთი მასალის არჩევას ავსტრიის ფოსტა იმით ხსნის, რომ ირონიული მინიშნება სურდათ პანდემიის პირველ კვირებზე, როცა მთელ მსოფლიოში, ყველაზე მოთხოვნადი და ამავდროულად, დეფიციტური პროდუქტი ტუალეტის ქაღალდი იყო, რომელსაც ადამიანები ისტერიულად ყიდულობდნენ.

თვითმფრინავი ხიდის ქვეშ გაიჭედა

ინდოეთში, საფეხმავლო ხიდის ქვეშ, თვითმფრინავი გაიჭედა. ეს კურიოზული შემთხვევა თვითმხილველმა გადაიღო და სოციალურ ქსელში გაავრცელა. ადგილობრივი მედიის ცნობით, ინციდენტი დელის საერთაშორისო აეროპორტის მიდამოებში მოხდა. როგორც ავიაკომპანია Air India-მ განაცხადა, საჰაერო ლაინერი კერძო პირს მიჰყიდეს, რადგან ის უკვე ძველი და ჩამოწერილი იყო. ახალმა მფლობელმა თვითმფრინავის წაღება გადაწყვიტა, მაგრამ მისი გაბარიტები ვერ გათვალა. დელის აეროპორტის წარმომადგენლებიც აცხადებენ, რომ საჰაერო ფლოტის არც ერთი ლაინერი არ მონაწილეობდა ამ ინიცდენტში.

პომიდვრის წვენი წნევას არეგულირებს

ტომატის წვენის წყალობით, შესაძლებელია არტერიული წნევის დაქვეითება და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკის შემცირება – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ იაპონელი სწავლულები. მათ კვლევებში 500-ზე მეტი ქალი და მამაკაცი მონაწილეობდა. ერთი წლის განმავლობაში, ისინი ტომატის წვენს იღებდნენ, ოღონდ მარილის გარეშე. აღმოჩნდა, რომ მათგან 100-მდე მოხალისეს, რომელთაც ჰიპერტონია ჰქონდათ, მნიშვნელოვნად დაურეგულირდათ წნევა. გარდა ამისა, ტოკიოს სამედიცინო უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ექსპერიმენტში მონაწილეებს, სისხლში ქოლესტერინის გადამტანი ლიპოპროტეინების დონეც შეუმცირდათ.

სუნამო თოვლის არომატით

მოდის ფრანგულმა ბრენდმა Moncler-მა პარფიუმერული ხაზის გახსნა გადაწყვიტა და თავისი პირველი არომატიც გამოუშვა. ახალ სუნამოს ორი ვერსია აქვს – ქალისა (Moncler Pour Femme) და მამაკაცის (Moncler Pour Homme). ახალი პარფიუმის კომპოზიცია დათოვლილ მთებს ეძღვნება, რადგან ბრენდმა საქმიანობა მოთხილამურეებისთვის ტანსაცმლის შექმნით დაიწყო. პარფიუმერმა ნისრინ ფრილიემ ქალებისთვის „პუდრის თოვლი“ შექმნა, რომელიც ზამთრის მშვიდ ამინდს მოგაგონებთ. მამაკაცებისთვის კი არომატი ანტუან მეზონდიემ შეარჩია, რომელმაც სუნამოს „მთის ტყის“ აკორდი შემატა. ახალი პარფიუმის გაყიდვები ერთი კვირის წინ დაიწყო.

ცომეული მუდმივი დაღლილობის მიზეზია

სპეციალისტების განცხადებით, პურისა და ცომეულის გადაჭარბებული მოხმარება ადამიანში დაღლილობასა და რეაქციების შენელებას იწვევს. მიზეზი ფქვილის ნაწარმის შემადგენლობაშია. ცნობილი ამერიკელი კარდიოლოგის, უილიამ დევისის თქმით, დღეს პურ-პროდუქტები ადამიანის რაციონის 30-35%-ს შეადგენს, რაც ჯანმრთელობისთვის სასარგებლო სულაც არ გახლავთ. მედიკოსებმა დაასკვნეს, რომ თანამედროვე ადამიანები ხორბლისგან დამზადებულ ბევრ პროდუქტს მოიხმარენ, მაგრამ მარცვლეულის დღევანდელი სახეობები გენმოდიფიცირებულ ცილა გლიადინს შეიცავენ, რომელიც დაღლილობის შეგრძნებას იწვევს.

თეთრი პურის გადაჭარბებული მოხმარება ორგანიზმში უჯრედისის დეფიციტს იწვევს, ეს კი ტვინის ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. გარდა ამისა, ცილა გლიადინის მოქმედება ოპიატების ეფექტს ჰგავს. ეს პროტეინი, რომელსაც პურფუნთუშეულთან ერთად ვიღებთ, ტვინის რეცეპტორებს ააქტიურებს, რომელიც მადასა და საკვებიდან სიამოვნების მიღებაზეა პასუხისმგებელი. ამიტომ, ადამიანი უფრო მეტი კალორიის მიღებას იწყებს, რაც წონაში მატებასა და სიმსუქნეს იწვევს.

პლასტმასის ნაგვის მუზეუმი გახსნეს

ინდონეზიელმა ეკოაქტივისტებმა, ქალაქ გრესიკში მუზეუმი გახსნეს, რომელიც მთლიანად პლასტმასის ნარჩენებისგანაა შექმნილი. გარემოსდამცველები აპირებენ, ამგვარად მაინც მიაპყრონ ყურადღება ოკეანის დაბინძურების პრობლემას. ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოსაწყობად, აქტივისტებმა სამი თვე დახარჯეს. ის 10 ათასი პლასტმასის ნარჩენისგან – ბოთლების, პაკეტებისა და სხვა ნაგვისგან შექმნეს, რაც „მწვანეებმა“ დაბინძურებულ წყალსა თუ პლაჟებზე მოაგროვეს. მუზეუმის მთავარი ექსპონატი ღვთაება – დევა შრის ქანდაკებაა, რომლის კაბაც პაკეტებისგან შექმნეს. მუზეუმი ცოტა ხნის წინ გაიხსნა და ის უკვე რამდენიმე ასეულმა სტუმარმა მოინახულა. აღსანიშნავია, რომ ჩვენს პლანეტაზე, ჩინეთის შემდეგ, ინდონეზია მეორე ადგილზეა – ზღვაში გადაყრილი პლასტმასის ნარჩენების რაოდენობით.

უწიგნურობა ბავშვებში იოდდეფიციტის ბრალია

ორგანიზმში იოდის დეფიციტი უამრავ მავნე შედეგს რომ იწვევს, ეს თითქმის ყველამ იცის. ამჯერად, ტასმანიის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს მასშტაბური კვლევა და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ იოდდეფიციტი ბავშვის ინტელექტზე მოქმედებს. კვლევების შედეგების მიხედვით, იმ პატარებს, რომელთა დედებსაც ორსულობის დროს იოდოდეფიციტი აღენიშნებოდათ, ახალი უნარების ათვისება და სწავლა უჭირთ. მეტიც, ასეთ ბავშვებს მართლწერაშიც პრობლემები აქვთ, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე ნივთიერების დაბალი დონე, მათემატიკურ უნარებზე გავლენას არ ახდენს. სწავლულები აცხადებენ, რომ იოდის ნაკლებობა ნეგატიურად აისახება ემბრიონის სმენითი ორგანოების განვითარებაზე და შედეგად, ბავშვების სმენით ოპერატიულობაზე. სწორედ ამიტომ აფრთხილებენ მედიკოსები მომავალ დედებს, რომ მთელი ფემძიმობის პერიოდში, იოდის შემცველი საკვები პროდუქტები თუ დანამატები და შესაბამისი პრეპარატები მიიღონ.

დასაწებებელი ვაქცინა შექმნეს

სწავლულებმა სტენფორდისა და ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტებიდან, სამგანზომილებიანი პრინტერის საშუალებით, კანზე დასაწებებელი ვაქცინა შექმნეს, რომელიც უფრო მეტ დაცვას უზრუნველყოფს, ვიდრე ინექციური. ცხოველებზე ჩატარებული კველებით დადგინდა, რომ ნემსით შეყვანილ ვაქცინასთან შედარებით, „პაჩების“ შედეგად მიღებული იმუნური რეაქცია ათჯერ უფრო ძლიერია. დასაწებებელი ვაქცინის ახალი მეთოდი ულტრაიისფერ სინათლესა და სპეციალურ ფისს იყენებს. შედეგად, მიუხედავად რაოდენობისა, დასაკრავები არის შესაბამისი ზომის, ფორმისა და ნემსებიც შესაფერისად არის განლაგებული. დასაწებებელი ვაქცინის კიდევ ერთი უპირატესობა მისი სიმარტივეა. მასზე უარს არ იტყვიან ისინიც, რომლებსაც ნემსის ეშინიათ. მკვლევართა თქმით, მათი შექმნილი დიზაინი და მიდგომა შეიძლება მოერგოს გრიპის, ჰეპატიტებისა და კორონავირუსის ვაქცინებს.

ევროპა „გლობალური კატასტროფისთვის“ ემზადება

ევროპულმა კომისიამ სახელმძღვანელო შექმნა ენერგეტიკისა და საგზაო ინფრასტრუქტურის ახალი ობიექტების შესამოწმებლად, გლობალური კატასტროფის შემთხვევაში. დოკუმენტი გამიზნულია საავტომობილო და სარკინიგზო გზების, ელექტროსადგურებისა და სხვა მსგავსი ობიექტების მშენებლებისთვის. მათ უნდა გაითვალისწინონ ის რისკები, რაც, შესაძლოა, კლიმატის ცვლილებას ახლდეს და მაღალი ტემპერატურების, წყალდიდობებისა თუ გვალვების დროს, კონსტრუქციების საიმედოობაც უნდა უზრუნველყონ. იმისთვის, რომ უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით, ობიექტები შესაბამისობაში მოიყვანონ, ბიზნესი ევროკავშირის ფონდიდან 17.5 მილიარდი დოლარის დახმარებას მიიღებს. ეს რეკომენდაციები ორგანიზაციამ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ბოლო დროს გახშირებული წყალდიდობების გამო მიიღო. აღნიშნავენ, რომ მდიდარი ქვეყნებიც კი არ აღმოჩნდნენ მზად, რათა გლობალური დათბობის შედეგებს გამკლავებოდნენ.

მოდების ჟურნალი მეორად ტანსაცმელზე

მოდების ახალი ჟურნალის, Display Copy-ის დამფუძნებელი და რედაქტორი ბრინ ჰემინვეია, რომელიც მანამდე, „ვოგის“ კრეატიული დირექტორი იყო. მისი თქმით, ახალ გამოცემაში არ არის არც ერთი ახალი პროდუქცია, რადგან ჟურნალის მიზანი მეორადი ტანსაცმლის პოპულარიზაციაა. ამის მიუხედავად, გამოცემა ინდუსტრიის საუკეთესო ფოტოგრაფებთან, სტილისტებთან და მოდელებთან თანამშრომლობს: „ჩვენი ჟურნალი სიყვარულზეა, იმაზე, რაც უკვე გვაქვს. სიახლისა და სტილის ძიებაზეა ორიენტირებული ანუ იმაზე, რაც უკვე არსებობს“, – აცხადებს გამოცემის რედაქტორი.

Display Copy მთლიანად ეძღვნება ტანსაცმელს, რომელიც ზიანს არ აყენებს ეკოლოგიას. გადაღებებზე იყენებენ გადამუშავებულ მასალას ან ძველ, ვინტაჟურ ტანსაცმელს, ხოლო სარედაქციო სტატიებში, ახალ კოლექციებსა და ტრენდებს არც კი ახსენებენ.

მუჰამედ ალის ნახატები აუქციონზე გაყიდეს

ლეგენდარული მოკრივის, მუჰამედ ალის მიერ შესრულებული ნახატების კოლექცია ნიუ-იორკში, Bonham-ის აუქციონზე, 945 524 დოლარად გაიყიდა. BBC-ის ინფორმაციით, 26 ნახატისგან შემდგარი კოლექცია გასაყიდად კოლექციონერმა, როდნი ჰილტონ ბრაუნმა გაიტანა. მუჰამედ ალი, იგივე კასიუს კლეი, ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი სპორტსმენია, თუმცა მისი მხატვრული ნიჭის შესახებ აქამდე არაფერი იყო ცნობილი.

08.10.21 – კიდევ ერთი ტრაგიკული თარიღი საქართველოს უახლეს ისტორიაში

8 ოქტომბერი, საქართველოს უახლოეს ისტორიაში, კიდევ ერთი ტრაგიკული თარიღია – ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე კორპუსი ჩამოინგრა, რამაც 9 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სამწუხაროდ, გარდაცვლილებს შორის არასრულწლოვანებიც არიან. რა გახდა ბათუმის ტრაგედიის მიზეზი? – ამას გამოძიება დაადგენს. მანამდე კი, 11 ოქტობერი გლოვის დღედ გამოცხადდა. საერთოდ, ასეთი ტრაგედიები კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ადამიანის უმთავრესი ღირებულება სიცოცხლეა, სიცოცხლე, რომლის ჩაქრობის შემდეგაც კიდევ ერთხელ ვხვდებით, რომ ყველაფერი, მათ შორის, პოლიტიკური კინკლაობაც უაზრობაა!

„ვერსია“ თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს და მთელ საქართველოს!



ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.